№ 2807
პარასკევი,
29 აპრილი

ცნობის ფურცელი

№ 2807
პარასკევი,
29 აპრილი

ხელმოწ. ღირს: წელიწადში—6მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5კ. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

ყოველ-დღიური გაზეთი „ცნობის ფურცელი" ადგილობრივ და გაგზავნით ღირს: 1 წლით 6 მან., 11 თვით 5 მან. 75 კაპ. 10 თვით 5 მან. 20 კაპ., 9 თვით 5 მ., 8 თვით 4 მ. 50 კაპ., 7 თვით 4 მან. 6 თვით 3 მ. 50 კ., 5 თვით 3 მან., 4 თვით 2 მ. 60 კ., 3 თვით 2 მან., 2 თვით 1 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. გაზეთის გაწერა ერთ თვეზე ნაკლებ არ შეიძლება და არა მეტი წლის ბოლომდის.

ხელის მომწერთ, რომელთაცა ჰსურთ რაიმე ცნობა მიიღონ კანტორიდან ხელის მოწერის შესახებ ან ფულს აგზავნიან რედაქციაში, ან ადრესს იცვლიან, „ცნობის-ფურცლის" კანტორა უმორჩილესად სთხოვთ მათ **გამოუგზავნონ ბანდეროლი ან მოიწერონ ის ნომერი, რომელიც ადრესზეა დაბეჭდილი.**

როცა ვინმე იწერება ადრესის გამოცვლას, მასთანვე ძველი ადრესი და გამოსაცვლელი 40 კაპ. უნდა გამოუგზავნოს რედაქციას. ადრესის გამოსაცვლელი 40 კაპ. შეიძლება ფოსტის მარკებით გამოგზავნოს.

ცალკე ნომერი გაზეთისა ყოველგან ღირს 3 კაპ. **სურათებიანის დამატებით**—5 კაპ.

27 აპრილს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ნენე სოლომონის ასული ნაცვლიშვილისა,

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ **დედა—ანა სვიმონის ასული და მამა სოლომონ იოსების ძე და ძმები რაჟდენ და ალექსანდრე ნაცვლიშვილები, და დეიდა ნინო ლევანის ასული ნასიძისა.** გამოსვენება 30 აპრილს, დილით 8 საათზე მალაკნის ქუჩა, № 31,—კუკიის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში დაკრძალვენ წმ. ნინოს სასაფლაოზე. პანაშვიდი პარასკევს, 29 აპრილს. (1—200—1)

სეზონის უკანასკნელი ტანისამოსი
მ ო ს დ ი ს ყოველ-კვირა
ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის
შეკერილ ტანისამოსის პირველ კავკასიის ამხანაგობის საფაბრიკო დეპოს.
ნიკოლოოზის ხიდი, №№ 25—30.
ვ უ რ ჩ ე ვ თ
ადგილობრივ და სხვა ქალაქიდან ჩამოსულ მყიდველებს ჩვენის და სხვის სახელოსნოებში ინგლისურ და ფრანგულ ჟურნალებზე დამზადებულ უკანასკნელ ფასონის ტანისამოსს, მანდილოსნის ზედა ტანისამოსს, კაცის და ბავშვის ტანისამოსს და ყოველგვარ პალტოს, რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფაბრიკებში დამზადებულს. ფასი ხელ-საყრელია.
შ ე უ ვ ა ჭ რ ე ბ ლ ა დ. (0—12)

რ ე ს ტ ო რ ა ნ ი
„ფ უ ნ ი კ უ ლ ე რ ი".
სადილი 4 ბლუდი 1 მან.
სადილი 29 აპრილს 1 ს.—5 საათ.:
1. ბორშჩი ფლოდსკი.
2. ვარენიკი ზაპეჩონი.
3. თუშური ბატკანი.
4. მოროჟნი სლივკის.
და ყავა.
პატრონი **ნ. ჩიკვაიძე.**

ავლაბარი
არაქსიანის თეატრში
შაბათს, 30 აპრილს, ქუთაისის გუბერნიის **დაბა ჩხარში ცეცხლისაგან დაზარალებულთა** სასარგებლოდ გაიმართება
საბავშვო დღესასწაული.
დაწვრილებით პროგრამებში. დასაწყისი ნაშუადღევის 2 საათზე, დასასრული საღამოს 7 საათზე. ფასი: ბავშვებისთვის—10 კ., დიდებისთვის—25 კ.
გამმართველნი **კნ. მ. თუმანოვისა და**
(3—უ—)2 **მ. მზარეულოვი.**

სტუდენტი ეძებს გაკვეთილს აქ, ან სააგარაკოთ.
ადრესი: მამა დავითის მოედანი, სახლი ექიმი ქიქოძისა, სტუდენტ ა. გ. (3—3)

ი ყ ი დ ე ბ ა
ძლიერ იაფად: რკინის კრაოტები, სტოლები, ბუფეტის და ტანისამოსის შკაფები, შკაფი საქირურგო იარაღისათვის, სკამები, სკამები ვენის, მატრასები, ლეიბები მატყლის, ბალიშები, სავარძელი კბილის საექიმო და ავადმყოფის სატარებელი, საათი, ლამპები, საცვლები, ხალათები, ფეჩი თუჯისა ქვა-ნახშირისათვის, სარკე, ტანისამოსის ჩამოსაკიდებელი, მიკროსკოპი, სტერილიზატორი, სხვა და სხვა საქირურგო იარაღები, ტახტები, ელექტრონის მაშინები და მრავალი სხვა ოჯახისთვის სასარგებლო ავეჯეულობა. ველიკოკნიაჟსკის ქუჩა, მეცხრე სახლი კუკიის ხიდიდან.

ე ქ ი მ ი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიშვილისა № 11.

ქ. ბათუმში
ექიმი ა. გ. მაღალაშვილი
მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის.
ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში კომერციული ბანკის სახლი. (60—408—61)

კბილის ექიმი
ი ვ ა ნ ე პ. ა ხ ა ლ შ ე ნ ი შ ვ ი ლ ი
გადავიდა: ნიკოლოოზისა (№ 82) და ხიდის. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდი!.

კბილის ექიმი
ე. ი. ბალარჯიშვილი
იღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით (80—278—22)

ე ქ ი მ ი
გ. ი. ტ ე რ-გ რ ი გ ო რ ი ა ნ ც ი
შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—7 საღ. მიხეილის პრ. № 545
ტელეფონი № 825. (90—296—54).

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

27 აპრილი

პარიზი. „ტაიმ"-ს მოჰყავს ინგლისის პრესის მღელვარება და მისი მკაცრი კილო საფრანგეთის ნეიტრალიტეტის შესახებ და ამბობს, ამ გვარ მოქმედებას არ აქვს გამამართლებელი საბუთიო. საფრანგეთმა ნეიტრალიტეტის დაცვის წესები 1904 წ. თებერვალში გამოაქვეყნა და იაპონიას მაშინ პროტესტი არ განუცხადებია. ახლა იაპონელები აღელვებული არიან იმიტომ, რომ პორტებში გაჩერებით ისარგებლეს რუსებმა და არა იაპონელებმა, თუმცა უკანასკნელთ ამის იმედით ჰქონდათო. გაზეთის აზრით, ინგლისს ისეთი ინტერესები აქვს შორეულ-აღმოსავლეთში, რომ იგი არ უნდა აქეზებდეს იაპონელების ჯინგოიზმს. იაპონიის მთავრობამ ორი სამხედრო გემი გაგზავნა კრიტოსზე. სერბიის მისია არღვევს ხმებს მეფე პეტრეს ტახტიდან გადადგომის შესახებ. პოლიტიკური მოღვაწეები გაკვირვებული არიან იმით, რომ როჟესტვენსკის მოსთხოვეს გასვლა კამრანის ბუხტიდან, ვინაიდან საფრანგეთს არასოდეს არ ულიარებია 24 საათის ვადა ნეიტრალურ პორტებში გემების გასაჩერებლად.

ვაშინგტონი. ავტორიტეტული წყარო იუწყება, პრეზიდენტ რუზველტმა გადასწყვიტა შუამდგომლობა შესთავაზოს რუსეთსა და იაპონიას, რათა ომი მოსპობილ იქნას. პრეზიდენტი იმ პირობით გასწევს შუამდგომლობას, თუ ევროპის დანარჩენი სახელმწიფოებიც ხელს მოუმართავენ მას.

მინსკი, 27 აპრილი. ლიბავა-ვორონეჟის რკინის გზის მოსამსახურეების რწმუნებულთა საზოგადო კრებაზე გადაწყდა, საფრანგეთის ელჩის ხელით 3 ათასი მანეთი გაუგზავნონ რუს-ტყვეებს იაპონიაში.

ტოკიო, 27 აპრილი. ყველა პარტიების მეთაურნი სცდილობენ დაამშვიდონ ხალხი, აღელვებული საფრანგეთის წინააღმდეგ.

28 აპრილი.

პარიზი, 27 აპრილი. თანხმად საიგონიდან მოსულ დეპეშისა, ნებოგატოვისა და როჟესტვენსკის ესკადრები გაშლილ ზღვაში შეხვდნენ ერთმანეთს პადარანის კონცხთან და მერე ერთად წავიდნენ. ინგლისის წრეებში საფრანგეთის ნეიტრალიტეტის ინციდენტს საბოლოოთ გამორკვეულად სთვლიან. აქ ის აზრი სჭარბობს, რომ ინგლის-იაპონიის კავშირი საშიშია, რაზედაც დღემდე არა იცოდნენ რა.

ტოკიო. ხალხი ძლიერ ღელავს საფრანგეთის წინააღმდეგ. ბევრი იმ აზრისაა, რომ საფრანგეთის დახმარება როჟესტვენსკისადმი იაპონიის წინააღმდეგ იარაღის ასხმას ნიშნავსო და ითხოვენ, მიმართეთ ინგლის-იაპონიის კავშირსო.

ბერლინი, 27 აპრილი. სამხედრო წრეებში ჰფიქრობენ, იაპონელები აპირებენ, ერთსა იმავე დროს ხმელეთიდან და ზღვიდან მივიდნენ მტერზეო.

მოსკოვი, 27 აპრილი. ერთმა პირმა, რომელმაც თავის ვინაობის გამოქვეყნება არ ინება, სურვილი განაცხადა 100 ათასი მანეთი შესწიროს სახალხო განათლების საქმეს იმ შემთხვევაში, თუ მოსკოვის თავად-აზნაურობა ხელის მოწერას გამართავს ამ მიზნით. ნაროდნიკთა წრე სცდილობს პრაქტიკულად შეისწავლოს, თუ როგორ არიან მომზადებული გლეხები საწარმომადგენლო მართვა-გამგეობაში მონაწილეობის მიღებისთვის.

ბლაგოვეშჩენსკი, 27 აპრილი. გამოვიდა ორივე შეჩერებული გაზეთი.

ოდესა, 27 აპრილი. ტეუიდია დეპეშები დერიბასოვის ქუჩაზე ბომბის კვის დაჭერისა და იარაღის საიდუმლო საწყობის აღმოჩენის შესახებ.

რიგა, 27 აპრილი. წუხელის უცნობთ მოინდომეს ტექსტილის ძაფის სართავ ფაბრიკისთვის ცეცხლის წაკიდება. ცეცხლი ხელოსნებმა შეამჩნიეს და ჩააქრეს. ზარალი ათას მანეთამდეა.

ლოძი. პურის საცხობთა პატრონნი და მუშები ვერ შეთანხმდნენ. ქალაქი პურ-პურობით უპუროდაა დარჩენილი. ხმებია, ესსებიც აპირობენ გაფიცვასო. გაფიცვა დაიწყეს მეთუნუქეთა და კალატოზთა ქარგლებმა.

რომი, 27 აპრილი. პოლიტიკურ წრეების აზრით, მაროკოს საკითხი საბოლოოდ მოეწყო და ამიტომ არაა საჭირო საერთაშორისო კონფერენციაო.

ბელოსტოკი, 27 აპრილი. ტყავის ყველა ქარხნებმა მუშები დაითხოვეს და გადასწყვიტეს, წარმოება გამოურკვეველ დრომდე შეაჩერონ, ვინაიდან შეუძლებელია მუშების მოთხოვნების ასრულება.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

27 აპრილი

ბერლინი, 27 აპრილი. „კრეი.-ცაიტუნგ"-ი ამტკიცებს, შიში იმის შესახებ, რომ სხვა სახელმწიფოებსაც მოუხდებათ, ომში მონაწილეობის მიღება, თანდათან იზრდება. საფრანგეთი ისეთი შეღავათით მოექცა რუსებს, რომ ლაპარაკიც მეტია აქ ნეიტრალიტეტის სასტიკად დაცვაზე; იაპონიას საშინელი ზარალი მოუვიდა. ინგლისი-კი ამ აზრისაა, რომ იაპონიასთან კარგ დამოკიდებულობის დასაცველად საჭიროა ენერგიული ჩარევა საქმეში. თუმცა იმედი აქვთ კონფლიქტის ჩაქრობისა, მაგრამ ძლიერ დიდია შიში ევროპის ცეცხლის წინაშეო. „ბერლინერ-ტაგებლატ" იუწყება, იაპონელთ პარიზელი ელჩი მოტონო 10 დღით ჰააგაში მიდისო. ეს, გაზეთის აზრით, იმას ნიშნავს, რომ მდგომარეობა არაა კრიტიკული.

პარიზი, 27 აპრილი. „ჰავას"-ის სააგენტოს განმარტებამა და ბალფურის სიტყვამ ლონდონში დაამშვიდეს საზოგადოებრივი აზრი. იაპონელები იმან ააღელვა, რომ მათ აშინებს მომავალ ბრძოლის შედეგი. მარკიზ ბარტელემ აცხადებს, მისი ნახშირის საწყობი კამრანში 700 ტონისთვის არის ნავსადგური; ნახშირის საწყობი საიგონთან რუსებმა გამართეს ომის დაწყებამდე შეძენილ მიწაზე, რის წინააღმდეგ იაპონელებს არ განუცხადებიათ პროტესტიო.

ტოკიო, 27 აპრილი (რეიტ.). სამოქალაქო მართვა-გამგეობა იაპონელებს მხოლოდ იმ დაპყრობილ ოლქებში შემოაქვთ, საცა რუსების ადმინისტრაცია განაგებდა წინად. ფაქტიურად სამოქალაქო მართვა-გამგეობა მხოლოდ ლიაოდუნის ნახევარკუნძულზე იქნება შემოღებული. ის ტერიტორია, რომელიც ჩინეთს ეკუთვნის, ისევ სამხედრო მთავრობის ხელ ქვეშ დარჩება. ფორმოზის სამმართველოს პირველი მრჩეველი იშიზუკა ლიაოდუნის გუბერნატორად ინიშნება.

ტოკიო, 27 აპრილი. ხმებია, იაპონიას განზრახვა აქვს შეუკვეთოს საზღვარ-გარეთ ორი ჯავშნოსანი და 6 დიდი კრეისერიო.

ვენა, 27 აპრილი. გაზეთები იუწყებიან, ბუდაპეშტში დეპუტატთა პალატაში ხელის მოწერას მართავენ ოიამასთვის საპატიო ხმლის საყიდლათ. ხმლის მისართმევად ექსპედიცია წავა იაპონიაში გრაფ ევგენი ზიჩის მეთაურობითო.

ტულონი, 27 აპრილი. საზღვაო მინისტრმა ტულონში სიტყვა წარმოსთქვა და აცნობა, პალატაში პროექტია შეტანილი სამხედრო-საზღვაო პროგრამის შესახებო და დასძინა, ძლიერი ფლოტი მშვიდობიანობის უზრუნველ მოფლდაო. საფრანგეთი თავის საზღვაო უპირატესობას დაიცავს. საფრანგეთი 1870 წ. იმპერატორის ხელში იყო. თუ მომავალში რამე უბედურობა მოხდა, არავინ არ უნდა გაამტყუნოს ამაში რესპუბლიკაო.

სტამბოლი. 27 აპრილი. უცხოეთის გაზეთების ცნობა იემენში საქმის მდგომარეობის შესახებ გადამეტებულია. თუმცა მდგომარეობა სერიოზულია, მაგრამ საშიში არაფერია. „მთავრობს მხოლოდ 34 ბატალიონის მობილიზაციით კმაყოფილდება.

მორშანსკი, 27 აპრილი. ნოქრები არ არიან კმაყოფილი საბჭოს გადაწყვეტილებით და გაფიცვას აპირობენ; საბჭომ კომისიის დაარსება გადასწყვიტა უქმეებში დასვენების საკითხის გამოსაკვლევად.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ტიურენჩენის ბრძოლის წლის თავი. წარსულ 17 და 18 აპრილს წელიწადი შესრულდა ტიურენჩენის ბრძოლის შემდეგ. ერთის წლის წინ ტიურენჩენთან გენერალ კუროკიმ თავისი არმია გადაიყვანა მდ. იალუზე და გენ. ზასულიჩის კორპუსი ძალზე დაამარცხა, ბევრი რუსი დაატყვევა და 30 ზარბაზანი და ტყვიის მტყორცნელი ჩაიგდო ხელში. ამ პირველმა ბრძოლამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მთელს ქვეყნიერობაზე და ნამეტნავად რუსის ჯარზე. „ტაიმს"-ის კორესპონდენტი იუწყება: 18 აპრილს (ახალის სტილით 1 მაისს) გენ. კუროკის არმიამ ტიურენჩენის ბრძოლის წლის თავი იდღესასწაულა. სალდათებმა გენ. კუროკის მთავარ-სადგომის ახლო ველი ხეებით მორთეს და ტიურენჩენის ბრძოლის ველი აღადგინეს. ყველაზე საყურადღებო ტიურენჩენის ბრძოლის პანორამა და გენ. კუროკის ქანდაკება იყო: პირველ არმიის უფროსი ცხენზე მჯდომარე იყო წარმოდგენილი. ველზე მოედნები გამართეს თეატრებისათვის და სხვა დეკორატიული შენობები ააგეს. გორაკის წვერზე საკურთხეველი გამართეს მოკლულ მეომართა მოსაგონებლად; საკურთხევლისაკენ განიერი ალეია იყო გაყვანილი ტრიუმფალურ არკებით; ხელოვნურ ალუბლის ყვავილებით (იაპონელებს ძლიერ უყვართ ალუბლის ყვავილი) ხეების შუა წირვა გადაიხადეს. ჯარი გორაკის ძირას იდგა, მერე ხეებ ქვეშ ისაუზმეს; ბოლოს ჯარისათვის გასართობი გაიმართა: დოღი, ჭიდაობა და თეატრალური წარმოდგენები.

ტიურენჩენის ბრძოლაში მონაწილეობას იღებდნენ იაპონიის მე-2 დივიზია გენ. ნიშის უფროსობით, მე-12 დივიზია გენერალ ინუეს უფროსობით და გვარდიის დივიზია გენ. ხასეგავას უფროსობით. ამ დივიზიებმა შემდეგ სხვა მრავალ ბრძოლაშიაც მიიღეს მონაწილეობა და ყველგან თავი ისახელეს. („ნ. დნ.").

გენ. კუროპატკინი. „პეტერბურგსკი ლისტოკ"-ი იუწყება: სამხედრო სამინისტროსთან დაახლოვებულ პირებისაგან სარწმუნოდ შევიტყეთ, რომ გენერალ-ადიუტანტი კუროპატკინი ომის ასპარეზიდან რუსეთში დაბრუნდება და თავის მამულში იცხოვრებსო. ირწმუნებიან, გენ. კუროპატკინი არც ერთ სატახტო ქალაქში არ შეივლისო. პირველ მანჯურიის არმიის უფროსად მე-4 ციმბირის კორპუსის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ზარუბაევი დაინიშნებაო.

„ტაიმს"-ის კორესპონდენტი იუწყება: გენ. კუროპატკინს უთანხმოება მოსდის გენ. ლინევიჩთან და ამიტომ სამსახურიდან გადადგომას აპირობსო. („ო. ნ.").

რუსის მატროსების გაქცევა. „დეილი მეილ"-ის კორესპონდენტი იუწყება საიგონიდან: როცა რუსის ესკადრა კამრანის ბუხტაში იდგა, 4 რუსის მატროსი გაიქცაო. სამი მატროსი იმ გემზე მოვიდა, რომელზედაც მე ვიჯექ, მეოთხე-კი გაქცევის დროს ზღვაში დაიხრჩოო. („ო. ნ.").

მუკდენის ბრძოლის შემდეგ. „რუსკოე სლოვო"-ს კორესპონდენტი ფონ-ლანგი სწერს: თუმც მუკდენამდეც მუდამ უკან ვიხევდით, ჩინელები მაინც მტკიცედ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ რუსის ჯარი მუკდენს იქით აღარ დაიხევდა, პირიქით ზამთარში წინ გაილაშქრებდა და იაპონიის არმიას გაანადგურებდა. რუსეთიდან რკინის გზით დიდძალი ახალი ჯარი, მრავალი დიდი ყალიბის ზარბაზანი, აურებელი სურსათი მოდიოდა მუკდენში; ყველა ეს ძლიერ აკვირვებდა ჩინელებს და ძალა-უნებურად პატივისცემას უნერგავდათ რუსეთისადმი; ეხლა-კი გაანადგურებენ იაპონელებს, წამდაუწუმ გაიძახოდნენ ჩინელები. ბოლოს ჩინელებმა თავიანთ თვალით ნახეს, რომ რუსებმა ისევ უკან დაიხიეს და მარჯვენა ფრთაზე უწეს-რიგოდ გაიქცნენ, ქარავნები და იარაღიც-კი დაყარეს. რუსეთის სახელი უცებ დაეცა ჩინელების თვალში: როცა მუკდენიდან ჩრდილოეთისაკენ ვიხევდით, ჩინელები გზაში რომ შეგვხვდებოდნენ, მოურიდებლად დაგვცინოდნენ და პირში გვეუბნებოდნენ: „რუსები და ჩინელები ერთი და იგივე ყოფილან",—„რუსები მირბიან", „რუსები კურდღლებივით ყოფილან"-ო.

ჩინელები უფრო და უფრო იძულებენ რუსებს, რადგან სალდათები ანგრევენ ჩინელების სახლებს, დუქნებს და ქარხნებს და მუქთად სტაცებენ ფქვილსა, ქათამსა, ღორებს და ცხენების საჭმელსა. („რ. ს.").

„რუსკოე სლოვო"-ში რუსის სალდათის წერილია დაბეჭდილი. სალდათი თავის ნათესავებს დაწვრილებით აუწერს მუკდენთან ბრძოლისა და უკან დახევის ამბავს და ასე ათავებს წერილს: მუკდენიდან 14 დღეს ვიხევდით უკან, 200 ვერსტი გავიარეთ, ეხლა პატარა ქალაქ მამაგაისთანა ვდგევართ და არ ვიცით, ამას იქით რა იქნება, წინ წავალთ, თუ უკან. პურს არ გვაძლევენ; თვეზე მეტია, რაც „სუხარსა და ჩუძიზას სუპის" მეტს არას გვაჭმევენ. „კაშაც" თვეზე მეტია არ გვიჭამია და იმის სამაგიეროდაც სხვა არ უჭმევიათ რა. ჩვენი საზაფხულო კარვები უკან დახევის დროს დავყარეთ, ეხლა გაოლიანის კვლებში ჩავწვებით ხოლმე და ისე ვატარებთ მთელ ღამეებს. სიცივისაგან ვკანკალებთ, ტანთ არ ვიხდით და იარაღს არ ვიხსნითო.

ფულის ფლანგვა. ბ. ზარინი სწერს „ბირჟევია ვედომოსტი"-ში: მანჯურიიდან დაბრუნებულნი ამბობენ: იმ დროს როცა მუკდენთან რუსის არმია დამარცხდა და აურებელი დამზადებული, მილიონებად ღირებული სურსათი დასწვა, ხარბინში მრავალი სამხედრო მოხელე ქეიფობდა და მხიარულობდა და არც კი იცოდა, თუ რა ხდებოდა მუკდენთან. ხარბინი სამხიარულო ალაგია: ყველა ეროვნების ქალი, ქალალდის თამაშობა, ლოთობა და ფულების ფლანგვა უზომოდ, უანგარიშოდ. აქ ბევრი ხალხი ითვლება რაღაც სამსახურსა და საქმეში, ჯამაგირს იღებს, ნამდვილად-კი არას აკეთებენ გავრყვნილების გავრცელების მეტს. ხარბინში გაბმული ქეიფი და გარყვნილებაა, როდესაც პოზიციებზე რუსის ჯარი ათასნაირ გაჭირებას ითმენს; იქ ვიჟურად ჰფლანგავენ ფულს, როდესაც ყოველი კაპეიკი ანგარიშით უნდა იხარჯებოდეს. თუ სახლს ცეცხლი ეკიდება, ყველანი ცდილობენ უბედურებით ისარგებლონ და ხელი მოითბონ, ყველა იტაცებს რასაც-კი მოახელებს, სანამ სახლის პატრონები ჭკუაზედ არ მოვლენ. ეს გასაკვირველი არაა. სახალხო უბედურების დროსაც ასეთივე ამბები ხდება. მუდამ გამოჩნდებიან ხოლმე ხელის მოთბობის მსურველნი. მაგრამ საერო საქმეში მეტი კანტროლი და სიფრთხილეა შესაძლებელი. ამ საქმეს ბევრი ხალხი ჰყავს და „ხაზინის", ანუ, უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, ხალხის ფულს პატრონობა უნდა გაუწიონ. ვსთქვათ, მუკდენიდან უკან დახევის დროს პოლკის უფროსებმა პოლკის ფული ვერ გადაარჩინეს, მაგრამ განა მშვიდობიანობის დროს არ შეიძლება ყაიჯათიანად და დაზოგვით დაიხარჯოს ხაზინის ფული. სასაცილოა, რომ დღემდე ჩვენში მოხელეებს საგზაო ფულს ცხენების ანგარიშის დაკვალად აძლევენ, როდესაც ეხლა ცხენებით მხოლოდ ვაგზლამდე მიდი-მოდიან. ობერ-აფიცრებს ორის ცხენისა ეძლევათ, შტაბ-აფიცრებს 4-5 ცხენისა, გენერლებს 8—18 ცხენისა, მთავარ-სარდალს 36 ცხენისა. ყოველ ცხენზე 3 კაპეიკს ანგარიშობენ თითო ვერსტზე. ხარბინამდე 8 ათასი ვერსტი ითვლება; აბა იანგარიშეთ, რა შედგება და შეადარეთ რკინის გზის ქირას... თურმე, იქ მანჯურიაში ქერისა და ფშვრიის საყიდლად აძლევენ ფულს, ნამდვილად-კი ყველას თვალ წინ ცხენებს მარტო ჩუმიტასა და გაოლიანს აჭმევენ. აქაც დიდი ფული იკარგება. შეშის მაგივრადაც გაოლიანს სწვავენ... რუსეთისათვის ეხლა ყოველი კაპეიკი ძვირფასია, ხარბინში კი ბედნიერი მოხელეები ას თუმნობით აგებენ ქაღალდის თამაშობაში, აურებელ ქონებასა და სურსათს დაუდევნელად ცეცხლს უკიდებენ და უბრალო საქმეებზე დიდძალ ფულსა ჰფლანგავენ. ამავე დროს ბრძოლაში დასახიჩრებული სალდათი აქ, პეტერბურგში, მოწყალებას თხოულობს, რადგან პირდაპირ დახმარებას არავინ უწევს იმ საბუთით, რომ ფული არაარ. და თუ საქმე ამნაირად წავა, მართლაც არ იქნება ფული...

ძვირფასი ქვა-ნახშირი. „ტაგ"-ი იუწყება: რუსის მთავრობამ 100 ათასი ტონა ქვა-ნახშირი შეუკვეთა ლონდონელ ვაჭრებს, დაუყოვნებლივ ვლადივასტოკს წაიღეთო. ვაჭრებმა გამოუცხადეს, ქვა-ნახშირის წაღება ვლადივასტოკში არ შეგვიძ-

ლიან, რადგან დამზღვევი საზოგადოებანი 70 პროცენტს თხოულობენ პრემიადათ. მხოლოდ იმ პირობით შეგვიძლიან ქვა-ნახშირის ჩაბარება, თუ რუსეთი ზარალს გვიზღავს, თუ ვინიცობაა იაპონელები გემებს დაიჭერენო.

ამბობენ, წარსულ წლის ბოლოს რუსეთმა ინგლისში ტონა ნახშირი 6 გირვანქა სტერლინგად (60 მან.) იყიდა ვლადივასტოკისათვის, თუ ქირასა და დასაზღვევ პრემიასაც ვიანგარიშებთ. აი ასე ძვირად უჯდება რუსეთს ქვა-ნახშირი. („ნ.“).

ავტონომია და ერთობა

სახელმწიფოს ავტონომიებად დაყოფა არის საუკეთესო საშუალება, რომ მთავრობა მივუახლოვოთ ხალხს, გავახალხუროთ. ერთი ცენტრალისტური მთავრობა, რაც უნდა დემოკრატიული იყოს იგი, ვერასოდეს ვერ იქნება ხალხის ინტერესების გამომხატველი, რადგან დაშორებული იქნება ხალხისაგან. ერთი პარლამენტი ვერ გამოსცემს 130 მილიონ ხალხისათვის გამოსადეგ კანონებს: მისი გამოცემული კანონები ან სრულიად განყენებული, ყველასათვის უვარგისი იქნება, ან სასარგებლო სახელმწიფოს ერთის ნაწილისთვის და გამოუსადეგარი და მავნებელი მეორესთვის. ვიმეორებთ, ყოვლად შეუძლებელია ამდენი ხალხის ერთს კალაპოტზე ჩამოსხმა, ერთს წესზე მოწყობა და ვინც ამას მოინდომებს, ის მოსპობს ხალხის თავისუფლებას, სწორედ იმ მშრომელ ხალხის თავისუფლებას, რომლის ინტერესების დასაცველად ცენტრალისტურ მთავრობას ჰქადაგებენ დღეს ჩვენი დემოკრატები. ისტორია მრავალს მაგალითს გვაძლევს იმისას, რომ რამდენად უფრო ცენტრალისტური და ძლიერი ხდებოდა მთავრობა, იმდენად ილახებოდა და ილუპებოდა ხალხური თავისუფლება. რა თქმა უნდა, ერთიანი, ცენტრალისტური მთავრობა ამყარებს ერთობას, მაგრამ ასეთი ერთობა არის ძალდატანებითი, გარეგანი და ნუ თუ სასურველია ჩვენთვის ამ გვარი მონური ერთობა, რომელიც უარჰყოფს თავისუფლებას?

ჩვენი მოწინააღმდეგენი ივიწყებენ ერთს რასმე,—თავისუფლებას. ხმამაღლა გაიძახიან ერთობას, მხოლოდ ერთობას და ყურადღებას არ აქცევენ იმ გარემოებას, რომ ერთობაზე არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს თავისუფლებას. ხალხს არ შეუძლია განვითარება, მონად გადაიქცევა, გონება დაეხშობა, დაეკარგება სრულიად შემოქმედებითი ნიჭი, თუ შევუზღუდეთ და მოვუსპეთ თავისუფლება, და განა საეჭვოა, რომ ეს თავისუფლება აღარ იქნება, როდესაც მთელს უზარმაზარ სახელმწიფოში გაბატონებული იქნება ერთი ცენტრალისტური მთავრობა, ერთი წესი და კანონი, მოსპობილი იქნება ყოველგვარი თავისებურობა?

ამიტომაც, ხალხის თავისუფლების დასაცველად ჩვენ მომხრენი ვართ მხოლოდ ისეთის ერთობისა, რომელიც შეთანხმებულია თავისუფლებასთან, ვთხოულობთ ისეთს სახელმწიფო წეს-წყობილებას, რომელიც ერთის მხრით ემსახურება ერთობას და სოლიდარობას, მეორეს მხრით იცავს თავისუფლებას და აი ასეთი წეს-წყობილებაა სწორედ ავტონომია და ავტონომიათა ფედერაცია (კავშირი). ჩვენ ვქადაგებთ ერთობას მხოლოდ თავისუფალს, და ვებრძვით იმ ერთობას, რომელიც ჰპორკავს ადამიანის პიროვნებას, ხალხოსნობას და თავისუფლებას.

ამ ორს უმთავრეს საფუძველზე—მმართველობას ხალხთან დაახლოვებასა და ხალხის თავისუფლების დაცვაზე—ვამყარებთ ავტონომიას. ცილის წამებაა, განზრახ ფაქტების დამახინჯებაა და უვიცობა ჩვენი მოწინააღმდეგებისა, როდესაც ისინი ამბობენ, რომ ჩვენს მოთხოვნას, ავტონომიას ვითომ სხვა სარჩული ჰქონდეს. ავტონომია არის ბერძნული სიტყვა და ნიშნავს თვითკანონმდებლობას; ავტონომია არის ისეთი წეს-წყობილება, როდესაც რომელსამე ერს ან ადგილს აქვს უფლება, თვითონ გამოსცეს კანონები თავისი შინაურ საქმეებისათვის, აქვს სრული თვით-მმართველობა, მაგრამ ავტონომია სრულობით არ ნიშნავს გამოცალკევებას, განშორებას, ცალკე სახელმწიფოს. როდესაც სახელმწიფო შესდგება ავტონომიებისაგან, სახელმწიფო დაყოფილია ავტონომიებად, მაშინ მთელს სახელმწიფოს აქვს ერთი კანონმდებლობა და მმართველობა ყველა ავტონომიების საერთო საქმეებისათვის და ამავე დროს ყოველს ავტონომიას აქვს თავისი კანონ-მდებლობა და მმართველობა შინაურ საქმეებისათვის, იმ საქმეებისათვის, რომლებიც მარტო მას, ერთს ავტონომიას შეეხება; სახელმწიფოს საერთო წარმომადგენლები ჰყავს უცხოეთის სახელმწიფოებთან, ერთი ჯარი და ფლოტი ჰყავს, ერთი ფინანსები და ფული აქვს, ერთი სავაჭრო ტარიფები (ბაჟები) და სხვა. ასეთი დამოკიდებულება აქვს ავტონომიას სახელმწიფოსთან, ასეთია ავტონომიები გერმანიასა, შვეიცარიასა, ამერიკაში ასეთს ავტონომიას თხოულობენ ჩვენში, რომ თვითმმართველობა გვქონდეს ჩვენს შინაურ საქმეებში და მასთან ერთობა და სოლიდარობა რუსეთსა და რუსეთის ყველა ხალხებთან. ასეთი ავტონომია იქნება ნამდვილი დემოკრატიული, დამყარებული საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და დაფარულ კენჭის ყრაზე.

წარმოუდგენელია, რომ ამ გვარ ავტონომიას წინააღუდგეს ხალხის მოყვარე. მაგრამ ჩვენი მოწინააღმდეგენი, დაბრმავებულნი ვიწრო პირად თავმოყვარეობით, წაღმა და უკუღმა, შეუცნებლად და შეგნებულად ავტონომიის წინააღმდეგ იბრძვიან და მის დამხობას ცდილობენ; რა ცილისწამებას არ ხმარობენ, როგორ არ ამახინჯებენ ფაქტებს—ავტონომია სამეფოს აღდგენაა, თავად-აზნაურების გაბატონება, საკუთარის ბაჟების დაწესება ქართული ბურჟუაზიის დასაცველადო... მეტის მეტად სამწუხარო მოვლენაა, რომ ასე ილახება სწორედ ხალხის ინტერესების და თავისუფლების დამცველი ავტონომია, მაგრამ შეგვიძლია თავი იმით ვინუგეშოთ, რომ ეს დაბრმავება მალე გაჰქრება, ცილის წამება და მოტყუილება ფეხს ვერ მოიკიდებს და ავტონომია მაინც გამარჯვებული დარჩება. **კალამი.**

ს ო ფ ლ ა დ

სამეგრელო. ამ ბოლო დროს სრულიად მიყრუებული სოფლებიც კი გამოფხიზლდნენ. ეხლა ფოსტის დღე ბევრ სოფლის მცხოვრებისთვის დღესასწაულს წარმოადგენს. მოუთმენლად ელიან გაზეთებს და სულგანაბულნი ყურს უგდებენ დაბეჭდილ ამბებს. პირველად ომის ამბები აინტერესებდათ და სწორედ ამან აღუძრა გაზეთის სიყვარული ხალხს, შემდეგ ომმა უკანასკნელი ადგილი დაიჭირა და ახლა გატაცებულის ცნობის მოყვარეობით სცდილობენ შეიტყონ რუსეთის და კერძოდ ჩვენის ერის შინაური ცხოვრება. ყველა ხედავს ქვეყნის მყუდროება შეიყა, სიმართლე თავგანწირულ ბრძოლას უცხადებს ბოროტებას; გრძნობს დიდი ხნობით გულის სიღრმეში ჩამარხულ ფიქრების განხორციელების მოახლოვებას! სწამს ამ დროის დიდი მნიშვნელობა და შეუძლებელად მიაჩნია არ ჩაებას ამ საზოგადო ფერხულში. გურიის ამბების კითხვის დროს სოფლელი ხშირად კითხვას შეგვაწყვეტინებდა და განცვიფრებით წამოიძახებდა: „ოჯახ აშენებულმა საიდან იცოდა ჩვენი ცხოვრება, რომ ყველაფერი ჩვენი გაჭირვება ასე სარკესავით უჩვენებიათ.“ მართლაც აქაურ გლეხების გაჭირვება იგივეა, რაც ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხის მკვიდრთა. თავი და თავი ცხოვრების სახსარი მიწა და მისი ნაყოფია. ნიადაგი გამოიფიტა. ხალხი მრავლდება და მის მარჩენელ მიწას კი მომატების მაგივრად ნელ-ნელა ხელიდან აცლიან. სახლში რომ ცხოვრება გაუჭირდათ, შავი ზღვის ნაპირისკენ გაეშურნენ, მაგრამ აქ მათ თავისუფალი ადგილები არ დაანებეს და უცხო ხალხის გადმოსახლება იწყეს. ამას ზედ დაერთო სიმინდის ჩრჩილი და ისედაც მცირე მოსავალი გაუნახევრა. ასეთ მდგომარეობაში ხალხს, რასაკვირველია, გაუჭირდებოდა ისედაც სამძიმო გადასახადების გამოღება. ადმინისტრაცია მათ მდგომარეობაში არ შედიოდა. ზოგიერთთა თავგასულობას საზღვარი არა ჰქონდა. **ტეხურის-პირელი**

—

ხევი (საქართველოს სამხედრო გზა). ბარს მთამაც მისცა ბანი. აქაც კარგა ხანია დაიწყო მოძრაობა. 3 აპრილს აღელვებულმა ხალხმა განდევნა მთავრობის მიერ ძალდატანებით დაყენებული ჯამაგირიანი მოხელეები, დააკეტინა სამმართველო და მოსპო იმასთან ყოველგვარი კავშირი. ექვსი წელიწადია, რაც ადმინისტრაციამ სამი საზოგადოება ერთ საზოგადოებად გადააკეთა: სიონისა, სნოსი და სტეფანწმინდისა. ამას დაერქვა ქვემო ხევის საზოგადოება. მერე აარჩევინა ჯამაგირიანი მამასახლისი, რომელსაც ეძლეოდა წელიწადში 360 მანეთი, მწერალს—300 მანეთი, სამს ჩაფარს—540 მანეთი; დარაჯს—84 მან. შეშა და ნავთი იმდენი, რაც დასჭირდება, თანაც ყოველს სოფელში იყო თვითო ნაცვალი, რომელთაც ეძლეოდათ თითო პინა პური კომლზედ. ყველა ამან, აგრეთვე უმწეობა-უწყალობამ ხალხი დიდად შეაწუხა. ამასთან გამრავლდა ქურდობა და ავაზაკობა. ნუ დაივიწყებთ, ავკაცობას ჩადიოდნენ ისინი, ვისაც ჩვენ ჯამაგირს ვაძლევდით. ხალხის თვალში მთავრობამ ყოველივე ნდობა დაჰკარგა. ზედ დაერთო ამას სადგილმამულო სახელმწიფო გადასახადი, რომელიც ერთმევა ხალხს მამულის რაოდენობის მიხედვით და იმას-კა აღარ უყურებენ, აქაურს კლდიან და თოვლიან მამულს აქვს რამე შემოსავალი თუ არა. ხევის არსებობის ერთად-ერთი წყარო საქართველოს სამხედრო გზაზე თვიურ-დღიურად მუშაობა იყო, იქვე ქავხერიში მტვრევა, ურმებით კავკავიდან ტფილისში ქირით ბარგის ზიდვა და სხვა. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, გაიყვანეს თუ არა ბალაჯარის რკინის გზა, მუშაობა დაეცა. მღელვარებამ სამი-ოთხის წლის წინადვე იჩინა თავი, მაგრამ ხალხი თავის მოძრაობას არავის ამჩნევინებდა და უფრო მრავალ-რიცხოვანის და უძლიერესის საზოგადოების ნაწილისაკენ ეჭირა თვალი და ყური,—მოვითმინოთ სხვა კუთხეებში რა იქნებაო. ბოლოს ისევ თავის შინაურს ჩვეულების მოშლა-მორღვევის გზას დაადგნენ, რომ რითიმე გაეუმჯობესებინათ თავიანთი ეკონომიური მდგომარეობა. ამიტომ მთლად ხევის მკვიდრნი შეიყარნენ წმინდის სამების ტაძართან სოფ. გერგეტში და დაადგინეს ფიცით შემდეგი განაჩენი: 1. მოისპოს ქალების ურვათით (საფასით) გათხოვება, 2. მოისპოს მიცვალებულის დროს ხარჯებით (ქელეხით) დასაფლავება, 3. მოისპოს ახალ მიცვალებულისთვის წელიწადში ექვსჯერ ტირილის გამართვა და დააკმაყოფილონ ზგი სამის ხარჯით, 4. დააჯარიმონ ის პირნი, რომელნიც დაარღვევენ ამ განაჩენს. სცადეს ეს, მაგრამ არცა რამ დიდი ამითი გარიგდა.

აი, ამიტომ ქვემო ხევის საზოგადოებამ 3 აპრილს მოიყარა თავი ყაზბეგში და განდევნა სამმართველოდან მამასახლისი, მწერალი, სამი ჩაფარი და დარაჯი; დაკეტა იგი, აცნობა დეპეშით ქვეშეთის ბოქაულს თავიანთი მოქმედება და გამოუცხადეს მოურიდებლად, ამიერიდან ჩვენ აღარ გვსურს ჯამაგირიანი მოხელენი და აღარც მივმართავთ ჩვენის საქმისთვის მათაო. ბოქაული მოვიდა და დაეკითხა. ხალხმა უთხრა, როდესაც მაზრის უფროსი მოვა, მიზეზს მაშინ აგიხსნითო. მაზრის უფროსის მოსვლამდის ხალხი თავის თავად შეიკრიბა ბზობა დღეს 10 აპრილს და შეიმუშავა მოთხოვნილებანი და 13 აპრილს გადასცეს მაზრის უფროსს. სხვათა შორის, მოხევეები თხოულობენ: განთავისუფლებას საადგილ-მამულო გადასახადისაგან (ყალნისაგან); ამასთანა ისეთი სიმცირეა მამულისა, რომ თვითო დღის სახნავიც არა აქვს ოჯახს; ამიტომ მოგვეცით თერგის ოლქში თავისუფალი სახნავ-სათესი სახელმწიფო მიწები და ცხვრის საკვებავი ალაგები. პირველ-დაწყებითი სწავლა უნდა იყოს უსასყიდლო და სავალდებულო, ქართულს ენაზედ, როგორც დაბალს, ისე საშუალო სასწავლებლებშიაც. რუსულის ენის სწავლა იყოს ცალკე საგნად. გაგვეხსნას მთლად ხევის მკვიდრთ საავადმყოფო ერთის ექიმით და ბებიით. სასამართლოსა თუ საადმინისტრაციო დაწესებულებაში ხმარებულ იქნას უთუოდ ქართული ენა და სწარმოებდეს საქმე ქართულს ენაზედ. მოისპოს აქციზი. სამხედრო გზაზედ ჯარის გავლა-გამოვლის დროს მოისპოს ბეგარა. განდევნილ იქმნან ბერები, რომელნიც აპირებენ გერგეტის წმინდის სამების მონასტერში დასახლებას. ამაზედ მაზრის უფროსმა უპასუხა, ბერები არას გიშავებენო. ხალხმა უთხრა: არა გვსურს, რომ ეგენი აქ იყვნენ; ჩვენ გარუსება არ გვინდა, დღეს აქ არიან, ხვალ სხვაგან მოვლენ და იმ აზრს ადგანან, რომ ბავშვები გაგვირუსონო.

კალმის წვერა.

—

ქიზიყი. ამას წინად სიღნაღის მაზრის მარშალს თავ. ჩოლოყაშვილს შეეთვალნა სოფლელთათვის, რომ, დროს უქონლობით, ყველა სოფელს ვერ დავივლი, ამიტომ ამორჩეული პირები წარმოგზავნეთ სოფ. ბოდბისხევში, რომ გავაცნო თავად-აზნაურთა დადგენილება, ამასთან გავიგო თქვენი აზრიცაო. 14 აპრილს მოვიდნენ ბოდბისხევში ხსენებული მარშალი და მომრიგებელი შუამავალი თავ. ჯორჯაძე, მაგრამ ხალხი არ დახვდა, რადგან არავის არაფერი ეცნობებინა. იყვნენ მხოლოდ ამ სოფლის მცხოვრებნი. დამსწრეთ მარშალმა წაუკითხა „ცნობის ფურცელ“-ში დაბეჭდილი გუბერნიის თავად-აზნაურთა კრების დადგენილება. შემდეგ სთხოვა ხალხს, ბოდბისხევის მცხოვრებთ მაინც წარედგინათ თავისი მოთხოვნილება სხვა ხალხთა მოთხოვნილებასთან ერთად ნამესტნიკის მიერ მოწვეულ კრებისთვის წარსადგენად. სხვათა შორის, გამოირკვა, რომ სოფ. ბოდბისხევის მცხოვრებნი ყოველს წელს იხდიან ათას ოთხას თუმანს „ფოსტის ფულს“ გარდა 740 მ. ტყის ყარაულებისას, 400 მ. შირაქის ქედების საბალახო იჯარას, 100 მ. ალაზანზედ რომ საქონლის წყლის დალევის ნება ჰქონდეთ და ორიოდე თევზიც დაიჭირონ, 400 მ. მამასახლის, 400 მ. მასწავლებელს და მრავალ სხვას. მარშალმა ურჩია, დასწერეთ თქვენი მოთხოვნილებანიო. ამით გათავდა კრება. **დროები ქიზიყელი.**

ახალი ამბავი

✦ **კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწეებს** ნ. ა. სულთან-კრიმ-გირეისა და გენერალს შირინკინს ტფილისში მოელიან დღეს, 29 აპრილს.

✦ **კავკასიის ნამესტნიკის შტაბის უფროსად** დაინიშნა ნიკოლოოზის საკავალერიო სასწავლებლის უფროსად ნამყოფი გენერალ-მაიორი გრიაზნოვი, რომელიც უკვე გამომგზავრებულა კავკასიაში.

✦ განსაკუთრებულმა კომისიამ, ბ-ნ მიცკევიჩის თავმჯდომარეობით, შეიმუშავა **წესი ნამესტნიკის დახვედრისა.** სადგურზე მიეგებებიან სხვა-და-სხვა დაწესებულების უფროსი მოხელენი, ქალაქის საბჭოს ხმოსნები და გამგეობა, ქალაქის მოურავი პურმარილით. სადგურიდან ნამესტნიკი, ცხენზე მჯდომარე, წამოვა სადგურის ქუჩით, ვერის ხიდით და შემდეგ გოლოვინის პროსპექტით გაემართება სიონის საკრებულო ტაძარში, სადაც პარაკლისი იქნება გადახდილი. მთელს ქუჩებზე ორ პირად ჯარი იდგება. მოსწავლეებს არ გამოიყვანენ ქუჩაში. ქალაქი გაჩირაღდნებულ იქნება.

✦ **„ბაკ. იზვ.“ სწერს:** ჩვენ გადმოგვცეს, რომ ბაქოელ ქართველობის ერთ ნაწილს, მომრიგებელ მოსამართლის ბ-ნ მამულაიშვილის და ნაფ. ვექილის ქიქოძის მეთაურობით, განძრახვა აქვს მიეგებოს კავკასიის ნამესტნიკს სად. ბალაჯარზე. დეპუტაციის სურს გადასცეს ნამესტნიკს პეტიცია, რომელშიაც ის აზრი იქნება გამოთქმული, რომ ადგილობრივი მოხელენი 6—9 თებერვლის ელეტა-ხოცვის დროს კარგად იქცეოდნენ და იმათ წინააღმდეგ ბრალდება უსაფუძვლოაო.“

თუ ეს ამბავი მართალია, სწორედ გასაოცარია ბაქოელ ქართველთა ერთი წრის საქციელი. ჯერ ერთი—რაში ესაჭიროება ქართველთა ერთი წრის გამოსარჩლება რუსეთის საგუბერნიო ადმინისტრაციას; მეორე—რა საბუთები აქვს ხელთ ამ წრეს, რომ ეგრე გადაჭრით ამტკიცებს ადმინისტრაციის სიმართლეს, როდესაც თვით უმაღლესმა მთავრობამ საჭიროდ სცნო განსაკუთრებულ რევიზიის დანიშვნა ბაქოში მომხდარ ამბების დაწვრილებით გამოსაძიებლად; მესამე—რაკი მიგებებასა და თხოვნაზე მივარდა საქმე, ნუ თუ ქართველთა იმ ერთმა წრემ უფრო დიდი და საყურადღებო საქმე და საჭიროება ველარ ნახა, ვიდრე ადმინისტრაციის გამოსარჩლებაა?!

✦ 27 აპრილს, ქალაქის მოურავის თავმჯდომარეობით მოხდა **სხდომა ტრამვაის საქმეების გამო.** დაესწრნენ უსახელო საზოგადოების დირექტორი გრიმანესი, რწმუნებული მუტრიე და ტრამვაის მოსამსახურეთა თორმეტი დეპუტატი. სხდომამ გასტანა საღამოს 8 საათიდან ნაშუაღამევის 2 საათამდე. დამსწრეთ მუხლ-მუხლად განიხილეს მოსამსახურეთა მოთხოვნილებანი. საზოგადოების წარმომადგენლებმა თითქმის ყველა მოთხოვნილება მიიღეს. კამათი გამოიწვია მხოლოდ საქმემ საამხანაგო სასამართლოს დაწესების შესახებ. ბოლოს წარმომადგენლებმა ესეც მიიღეს იმ პირობით-კი, რომ საზოგადოების დირექტორს უფლება ჰქონდეს განასაჩივროს ხოლმე საამხანაგო სასამართლოს გადაწყვეტილება ქალაქის გამგეობაში. როცა შეთანხმების ფურცლისათვის ხელი უნდა მოეწერათ, მოულოდნელად დირექტორებმა განაცხადეს, ჩვენ არა გვაქვს საზოგადოებისაგან დავალებული ამ ფურცელს ხელი მოვაწეროთო და ვითხოვთ, 20 დღის ვადა მოგვეცით შევეკითხოთ საზოგადოებას ბრიუსელში; ამ ხნის განმავლობაში შევასრულებთ ყველა მოთხოვნილებას, თუ მოსამსახურენი ხვალიდანვე მუშაობას შეუდგებიანო. ამ უცნაურ განცხადებაზე მოსამსახურეთა წარმომადგენლებმა, რა თქმა უნდა, უარი სთქვეს და კრებას თავი გაანებეს. გუშინ ქალაქის მოურავს კიდევ ჰქონდა თათბირი გრიმანისსა და მუტრიესთან მაგრამ შეთანხმება მაინც ვერ მოხერხდა. მოსამსახურეთ მოითხოვეს, რაც გაფიცვის დროს ჯამაგირი გვერგება, მოგვეცით, გვინდა ამ საქმეს სულ თავი დავანებოთ და სხვა რამეს მოვკიდოთ ხელიო, მაგრამ დირექტორმა ფულის მიცემაზე უარი განაცხადა.

✦ **სომეხთა სარევოლიუციო პარტიის** მეთაურს ანდრანიკს, რომელიც ამ ჟამად შვეიცარიაშია, როგორც „მშაკი“ გადმოგვცემს, გამოუცხადებია „ბერლ. ლოკალ-

ფელეტონი

წითელი სიცილი

ან. ჩეხოვის სახსოვრად

ნარკვევი ნაპოვნ ხელთნაწერიდან.

ნარკვევი მეხუთმეტე.

......ეს უთავბოლო და საშინელი სიზმარი. თითქოს ჩემ ტვინს აცალეს ძვლის საბურავი და უმწეო, გაშიშვლებული იგი მორჩილად და მაძღრად იშრობს ყოველგვარ საშინელებას ამ სისხლით აღსავსე ეაუჩურ დღეებისას. მე ვწევარ მოკრუნჩხული და მთლად ვეტევი სულ ორ ადლ ალაგზედ, მაგრამ აზრი ჩემი ეფინება მთელს ქვეყნიერებას. ყველა ხალხის თვალებით ვიხედები მე და მათი ყურებით ვისმენ; მე ვკვდები დახოცილებთან ერთად; მათთან ერთად, ვინც დაჭრილია და მივიწყებულია, მე ვდარდობ, ვტირი და როდესაც რომელისამე სხეულიდან გადმოთქრიალდება სისხლი, მე ვგრძნობ იარის ტკივილებს და ვიტანჯები. და მას, რაც ან სულ არ მომხდარა, ან არა და მომხდარა ძლიერ შორს, ვხედავ ისეთივე გარკვევით, როგორც იმას, რაც ნამდვილად მოხდა და მასთანავე ახლოს; და არა აქვს საზღვარი ჩემ გაშიშვლებულ ტვინის ტანჯვას.

ეს ბალღები, ეს პატარა ჯერეთ უბიწო ბალღები. ვნახე ისინი ქუჩაში, როდესაც ომიანობას თამაშობდნენ და დარბოდნენ, დასდევდნენ ერთი მეორეს. ვიღაცა ტიროდა კიდევაც წვრილ ბალღურ ხმით—და რაღამაც გამათრთოლა ზიზღისაგან, საშინელებისაგან. დავბრუნდი სახლში და დადგა ღამე და ცეცხლებრივ ოცნებებში, ეს პატარა, ჯერეთ უბიწო ბალღები გარდაიქმნენ ბალღებისაგან შემდგარ მკვლელთა დაშქრად.

რაღაცა ბოროტების მომასწავებელი ენთო ამ განიერ და წითელ ცეცხლის ფრად და მის ბოლში ფართხალობდნენ შესაზარი მახინჯები—ბალღები უზარმაზარი, მკვლელების თავებით. ისინი დახტოდნენ ადვილად და ცქვიტად, ვით მოკუნტრუშე ციკნები, და სუნთქავდნენ მძიმეთ, ვით ავადმყოფნი. მათი პირები მიესგავსებოდნენ ძაღლების ან ბაყაყების პირებს და აღებდნენ განკალით და განივრათ; მათ გამსჭვირვალე ტიტველა ტანის კანში დაღვრემით რბოდა წითელი სისხლი—და ისინი თამაშობაში ხოცავდნენ ერთმანეთს. ისინი იყვნენ ყველაფერზე უსაშინელესები, რაც-კი რამ მენახა მე, რადგან პატარები იყვნენ და შეეძლოთ მოთავსებულიყვნენ ყველგან.

გავიხედე ფანჯარაში, ერთმა პატარამ შემამჩნია, გამიღიმა და გამომეტყველებით მოინდომა ჩემთან მოსვლა.

— მე მანდა შენთან!—სთქვა იმან.

— შენ მომკლავ!

— მანდა შენთან!—სთქვა მან, გაფითრდა ერთბაშად და საშინლად, იწყო ხოხვა და ფოფხვა თეთრ კედელზე, ვით ვირთხა, ვით მშიერი ვირთხა. იგი სხლტებოდა, ეცემოდა ძირს, წკნაოდა და ისეთის სისწრაფით დასრიალებდა კედელზე, რომ ვერ ვასწრებდი მის თვალის დევნას.

„მას შეუძლიან შემოძვრეს კარებ ქვეშიდან“, შიშით გავიფიქრე მე და თითქოს მიმიხვდა აზრს, იგი გარდაიქმნა წვრილათ და გძლათ, სწრაფათ კუდის ქნევით შეძვრა ბნელ კარების ჭუჭრუტანაში. მე მოვასწარი საბანში დამალვა. მესმოდა, როგორ მეძებდა ამ ბნელ ოთახებში ის პაწაწკინტელა, როგორ ნელა აღკამდა თავის ერთ ბეწო ტიტველა ფეხებს. ნელ-ნელა იგი მოუახლოვდა ჩემს ოთახს და შემოვიდა; დიდ ხანს არ მესმოდა არც მოძრაობა, არც ხმაურობა, თითქოს ჩემ ლოგინს ახლოს არავინ არ ყოფილიყოს. და აი ვიღაცას პატარა ხელმა ასწია საბნის ნაპირი და ცივი ოთახის ჰაერი შეეხო ჩემს სახეს და მკერდს. მე მაგრა მეჭირა საბანი, მაგრამ იგი ნელ-ნელა მეცლებოდა ყოველ მხრივ, და ერთბაშად ფეხებზედ შემცივდა ისეთნაირად, თითქოს ეს არის ნამაყოფინეს გაცივებულ წყალშით. ჩემი ფეხები იწვა უმწეოდ ცივ სიბნელეში და ის ბალღი დაჰყურებდა.

ეზოში, სახლის კედლის იქით, დაჭყეფა ძაღლმა. გავიგონე, როგორ დაიჟღრიალა ჯაჭვი. ის კი დაჰყურებდა ჩემ ტიტველა ფეხებს და სდუმდა. მაგრამ ვგრძნობდი იმას აქ ყოფნას, იმ აუტანელ შიშით, რომელიც მიპყრობდა მე, ვით სიკვდილი, ვით ზღუდე სამარის უმოძრაობისა. ყვირილი რომ შემძლებოდა, დავიყვირებდი, შევძრავდი ქალაქს, მთელ ქვეყანას დავაყენებდი ფეხზედ, მაგრამ ხმა გამიკრთა, გაუნძრევლად, მორჩილად ვიგრძენი მოძრაობა ჩემს ტანზედ, პაწაწკინტელა ცივ ფეხებისა, რომლიც ეტანებოდა ყველას.

— არ შემიძლიან!—დავიკვნესე სულ შეგუბებულმა და გამომეღვიძა ერთის წუთით. დავინახე გამჭრიახი საშინელი და ცოცხალი ღამის სიბნელე, და, მგონებ, ისევ მივიძინე...

— დაწყნარდი!—მითხრა ძმამ და ჩამოჯდა საწოლზედ, რომელმაც დაიჭრიალა, ისეთი მძიმე იყო ის, მკვდარი.—დაწყნარდი, სიზმარში ჰხედავ მაგას. მოგეჩვენა, ვითომ გახრჩობენ. შენ მაგრა გძინავს ბნელს ოთახებში, სადაც არავინ არ არის, მე კი ჩემ სამუშაო ოთახში ვზივარ და ვწერ. ვერც ერთმა თქვენგანმა ვერ შეიგნი რაზედა ვწერ, თქვენ კა სასაცილოდ ამიგდეთ, ვით უკუნური, მაგრამ ეხლა-კი გეტყვი მართალს. მე ვწერ წითელ სიცილზე. ჰხედავ შენ იმას?

რაღაცა უზარმაზარი, წითელი, სისხლის ფერი დამდგომოდა და უკბილოდ იცინოდა.

— ეს წითელი სიცილია. როდესაც დედამიწა იშლება ჭკუიდან, იგი იწყებს ასეთნაირად სიცილს. შენ ხომ იცი—დედამიწა შეიშალა ჭკუიდან. მაზე აღარ არის არც ვარდები, არც გალობანი, იგი გახდა რგვალი და წითელი, ვით გატყავებული თავი. ჰხედავ მას?

— ჰო, ვხედავ, იცინის.

— შეხე რა მოსდის ჩემ ტვინს. წითელია, ვით სისხლის ქაში, და ენა დაება.

— ყვირის.

— სტკივა. მას არა აქვს არც ვარდნი, არც გალობანი. მოდი ეხლა მე დაგაწვები შენ.

— მეშინიან.

— ჩვენ მკვდრები გაწვებით ცოცხლებს. გთბილა?

— მთბილა.

— კარგა ჰგრძნობ თავს?

— ვკვდები.

— გაიღვიძე და დაიკივლე. გაიღვიძე და დაიკივლე. მე მივდივარ......

ი. ხირსელი

(შემდეგი იქნება)

ანც.“. კორესპონდენტისთვის, რომ სომხთა სარევოლიუციო პარტიის კავშირმა (დაშნაკცუთიუნ) გადასწყვიტა, მიმართოს დიდ სახელმწიფოებს, რომ ისინი ჩაერივნენ ოსმალეთის საქმეებშიო.

✦ ყარსის რკინის გზის შტოზე, სადგურებს კალაგერანსა და კარაკლისს შუა 23 ვერსის მანძილზე, **ელექტრონით უნდა ატარონ** რკინის გზის მატარებლები. ეს იქნება პირველი ელექტრონის სამთო რკინის გზა რუსეთში. ელექტრონის ძალის ხმარება იმიტომ უცვნიათ საუმჯობესოდ, რომ გზის ეს ნაწილი თავით ბოლომდე შელმართია და ორთქლმავალს მეტად თურმე უჭირს მიმოსვლა. ელექტრონის ძალას გადასცემენ მაღლა გაბმულ მავთულის საშუალებით. ელექტრონის მთავარ სადგური გამართული იქნება მდინარე ბამბაკის მახლობლად.

✦ „ჩერნ. ვეს.“-ის სიტყვით, პოლიციას ამ ბოლო დროს დაუტუსაღებია **ბათუმში რამდენიმე აგიტატორი**, რომელნიც ურჩევდნენ სალდათებს, სამსახურს თავი დაანებეთ, გაიქეცით და იარაღი ჩვენ გადმოგვეცითო. იგივე გაზეთი იუწყება, რომ 24 აპრილს ჩაუყვანიათ ტფილისიდან ოზურგეთში ოცამდე კაცი, რომელთაც პოლიტიკური პროპაგანდა დასწამეს და დაატუსაღეს.

✦ 6 აპრილს **ალჟირში მოხდა ორიენტალისტთა კონგრესი**, რომელსაც 550 კაცი დაესწრო. როგორც „მშაკი“ გადმოგვცემს, კავკასიიდან იყო ორი კაცი. ბ-ნნი დირი და არაქელიანი. ამათ წარუდგენიათ სამი მოხსენება. სხვათა შორის, ქ-ნ ოლგა ლებედევისას კონგრესისთვის წარუდგენია ოთხი არაბული ხელთ ნაწერი ქართველობის მიერ ქრისტიანობის მიღების შესახებ. ეს ხელთნაწერები არაბულიდან კონგრესისთვის გადუთარგმნია ქ-ნ ლებედევისას. წინასიტყვაობაში ქ-ნ ლებედევასას ის აზრი გამოუთქვამს, რომ ქართველთა ჩამომავლობა მომდინარეობს ევიპტიდან, როგორც ამას ჰეროდოტე ამტკიცებდა. ბ-ნ დირის მოხსენება შეეხება კავკასიის ენებსა და მის ისტორიის შესწავლას.

✦ 27 აპრილს ავლაბარში, ქალაქის სამკურნალოს დარბაზში, **თავი მოიყარა იმ განაპირა უბნის** მცხოვრებლებმა, რომელთაც ქალაქისაგან იჯარით მიწები აქვთ აღებული. კრება გაიხსნა ს. ზ. მირზოევის თავმჯდომარეობით, რომელიც დიდ დახმარებას ჰპირდება ავლაბრელებს. ბევრი ითათბირეს იმის შესახებ, თუ რა დროიდან ექირათ ის ადგილები, მაშინ როგორი იყო ხსენებული ადგილები და შემდეგ როგორ გაუკეთებიათ. სხვათა შორის. ისიც სთქვეს, რომ ერთსა და იმავე ადგილს სახელმწიფო ქონებათა გამგეობაც ეპატრონება და ქალაქის გამგეობაცო. ბოლოს კრებამ დაადგინა: შესდგეს ექვსის კაცისაგან ამორჩეული კომისია, რათა დაიცვან როგორც მცხოვრებლების ინტერესები, ისე ქალაქისა და გამოიკვლიოს, თუ რა დროიდან უჭირავთ ხსენებული ადგილები, რა დროიდან რამდენი მესაზღვრე ჰყავდათ და ადგილ-მდებარეობა როგორი იყო და რა დროიდან როგორი საფასურის შენობა გაუკეთებიათ და ამის დაგვარად ფასი დაადონ ადგილებს. შემდეგ უნდათ საერთოდ სთხოვონ ქალაქს, რომ ეს მიწები შეასყიდოს და ხვედრი ფულიც ნაწილ-ნაწილ იხადონ, რადგან საიჯარო და სხვა მრავალი ხარჯი უკლებლივ უხდიათ დღევანდლამდე. რადგანაც ამ საღამოთი ყველა მოიჯარადრე არ გამოცხადდა, გუშინწინდელ კრების გაგრძელება მოხდება დღეს, საღამოს 7 საათზე, და იმ ექვს კაცსაც, რომელნიც კომისიაში არიან მოქცეულნი, ამ საღამოთი ამოირჩევენ.

✦ გუშინ-წინ დავბეჭდეთ ანგარიში **ნაძალადეველ მოიჯარადრეთა** კრებისა. თურმე ამ კრებაში ყველას არ მიუღია მონაწილეობა. სახელდობრ არ დასწრებიან ისინი, რომელნიც საპიორთა ბატალიონის ყაზარმებსა და ნაძალადევის ეკკლესიის შუა სცხოვრობენ, —სულ 120 კომლი. ამათ გადასწყვიტეს შეუერთდნენ კრების დადგენილებას და თავიანთ მხრივ ნაძალადეველთა კომისიაში (17 კაცი იყო, ეხლა ცხრამეტი იქნება) ორი კაცი აირჩიეს—ალექსანდრე ბაქრაძე და ვლადიმერ მერაბაშვილი.

✦ **ბაქოდან დეპეშით** ატყობინებენ გაზ. „ბირჟ. ვედ.“-ის: „ლენქორანის მაზრაში დაატუსაღეს ვიღაც სომეხი, რომელსაც მოლას ტანისამოსი ეცვა. ჯერჯერობით არ იციან რას ჰქადაგებდა ეს კაცი. მაჰმადიანები აღელვა ამ ამბავმა და კინაღამ ახალი სისხლის ღვრა მოხდა“.

✦ როგორც გუშინ ვწერდით, 1905 წლის 1 სექტემბრიდან ტფილისში დაარსდება **ქალთა მეხუთე გიმნაზია**. (რეუტოვის ქუჩა, № 41). პირველად გახსნიან მოსამზადებელ კლასის უმცროს და უფროს განყოფილებებს, პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე კლასებს. დანარჩენ კლასებს თანდათან გახსნიან ყოველ წელს. სწავლის ფასი დაწესებულია წელიწადში ასი მანეთი. მოწაფეებს არ გადაახდევინებენ ცალკე ფასს ახალ და ადგილობრივ ენების და ცეკვის სწავლებისათვის. შესვლის მსურველთ გამოსცდიან 12 და 13 მაისს. თხოვნებს ჯერ-ჯერობით მიიღებენ ქალთა პირველ გიმნაზიაში.

✦ ხვალ, 30 აპრილს, ნიჟნიზლის საზოგადოების თეატრში, ბ-ნ ვლ. ალექსი მესხიშვილის მონაწილეობით, **წარმოდგენილი იქნება შტოკმანი“.**

✦ 27 აპრილს მოხდა **წლიური კრება კავკასიის სამკურნალო საზოგადოებისა.** კრებას ბევრი ხალხი დაესწრო. თავმჯდომარემ ექ. ფიშერმა, მოკლე სიტყვით დაუხასიათა დამსწრე საზოგადოებას წარსულ წლის მოქმედება. შემდეგ მდივანმა წაიკითხა ანგარიში. როგორც ანგარიშიდანა სჩანს, სამკურნალო საზოგადოება შარშანაც ბევრს დროს ანდომებდა საზოგადო ჰიგიენურ საკითხების განხილვას, შარშანვე საზოგადოებას გამოუცია დარიგებანი ხოლერასთან საბრძოლველად, 18,000 ფურცელი და 30,000 წიგნაკი. ამასთან სამკურნალო საზოგადოება შეუერთდა რუსეთის მოწინავე ელემენტს და მოითხოვა დამფუძნებელ კრების მოწვევა. წასულ წელს საზოგადოებას შემოსვლია სულ 3877 მან. 84 კაპ. დაუხარჯნია 4475 მან. 94 კაპ. კრებამ დაამტკიცა ანგარიში და რამდენიმე საქმე განიხილა.

✦ ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაციას, „კავ.“-ს სიტყვით, შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ ხაზინამ გადასდოს საჭირო თანხა **ქუთაისიდან წყალტუბის** სამკურნალო წყლებამდის რკინის გზის მიმართულების გამოსაკვლევად და პროექტის შესადგენად.

✦ **რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებელში** ამას წინად მოსწავლენი გაიფიცნენ. ამის გამო 80 მოსწავლიდან დაითხოვეს 47 კაცი, დანარჩენებმა სწავლა განაახლა 25 აპრილს. მაგრამ გუშინწინ, 27 აპრილს, ყველამ სწავლას თავი დაანება და მოითხოვა დათხოვნილ ამხანაგების უკან მიღება.

✦ **დუშეთში მოხდა არჩევნები** ქალაქის მოურავისა და იმის თანაშემწისა. არჩეულ იქნა მოურავად—ვ. ა. კარანგოზაშვილი, თანაშემწედ ა. მ. მარტიროზოვი.

✦ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს თავ. დ. ზ. მელიქიშვილს აღუძრავს შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ნება მიეცეს გაიყვანოს **ვიწრო-ლიანდაგიანი რკინის გზა** პატარა ურთიდან, (ბორჩალოს მაზრა), სადაც თავ. მელიქიშვილს ტყე აქვს, სადგურ სადახლომდის, 25 ვერსის მანძილზე. დღემდის ბორჩალოს მაზრის ტყეები თითქმის სრულებით არ უწარმოებიათ. ამ ჟამად კი გერმანელ კაპიტალისტებს პირობა დაუდვიათ, გამართონ ხე-ტყის ქარხანა, რისთვისაც პირველ ხანებში უნდა დახარჯონ 500 ათასი მან.

✦ 26 აპრილს, დილით, ავჭალის ქუჩაზე, ულუმბეგოვის სახლის ეზოში, ნახეს **დანთხეული სისხლი, ტვინი და მეეზოვეს ქუდი.** გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ აქ მოუკლავთ მესამე თუმანოვის ქუჩის მეეზოვე, ვინმე ალია. მეეზოვის გვამი მხოლოდ გუშინ, 28 აპრილს იპოვნეს.

✦ რედაქციამ მიიღო **საყმაწვილო ჟურნალის** „ნაკადულის“ მე-12 ნომერი (მცირე წლოვანთათვის).

✦ რაჭის მაზრიდან სწერენ „ჩერნ. ვესტ.“-ს, რომ იქ ამ დღეებში მოუკლავთ მთავრობის მიერ დანიშნული მამასახლისი ბუეულას სასოფლო საზოგადოებისა.

✦ მიხაილოვის ქუჩაზედ გაიხსნა ახალი კერძო სამკითხველო, სადაც მოიპოვება ადგილობრივი და სატახტო ქალაქის გაზეთები.

✦ პირველ მაისიდან ქალაქის ღამის თავშესაფარებში მოსიარულეთ, ქალაქის გამგეობის განკარგულებით, ესპობა ხოლმე მუქთად ჩაისა და პურის მიცემა. გუშინ ქალაქის ღამის მეორე თავშესაფარის გამგემ, თანახმად ღარიბ ხალხის თხოვნისა, შუამდგომლობა აღძრა ტფილისის ქალაქის გამგეობის წინაშე, გადასდოს საჭირო ფული, რომ თავშესაფრებელ სახლს არ მოესპოს მუქთად ჩაისა და პურის მიცემა. თავშესაფარში ყოველ დღე 160 კაცი ათევს ღამეს.

✦ კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი და რკინის გზის ჟანდარმთა უფროსი დღეს მიემგზავრებიან ნამესტნიკის შესაგებებლად.

✦ მოგვივიდა ეპისკ. ბარდუკიმეოს გეორგიან ვაგარშაპატელის თხზულება, გამოცემული სომხურ და რუსულ ენებზე. ამ თხზულებას პოლემიკური ხასიათი აქვს და შეეხება ვაგარშაპატის და ეჩმიაძინის მონასტრების წარსულს.

✦ დღეს, 29 აპრილს, ტფილისის საბჭოს მიერ არჩეული განსაკუთრებული კომისია შეუდგება საქალაქო დებულების გადათვალიერებას.

✦ როგორც ჰიათურიდან გვატყობინებენ, დარკვეთსა და ჰიათურას შუა, 27 აპრილს მე-43 ვერსზე ვიღაცამ თოფით მოჰკლა ლეკი თეიმურაზი. ცხედრის ყარაულობა მუშებმა არ იკისრეს.

ღია წერილი

(წერილი რედაქციის მიმართ)

I

ფრიად სამწუხარო ამბავი მოგვიტანა სვანეთისა და ლეჩხუმის მკვიდრთ დეპეშამ, სამწუხარო ყველასათვის, ვისაც გული შესტკივა ჩვენ გადაგდებულ კუთხეებისთვის: იმ პატიოსან ადამიანთა წინამძღვარს, რომელნიც წარმოადგენენ სვანეთ-ლეჩხუმის შეგნებულ ელემენტს, ამხედრებულან ბნელი ძალები... ახლანდელი დრო, როცა ყოველივე ბნელი და მავნე, როცა ძალმომრეობა და მჩაგვრელთა ვერაგობა აშკარავდება,—ეს დრო ცუდად მოქმედობს ჩვენ თავად-აზნაურთა ერთ ელემენტზე. თუ ერთი ნაწილი თავად-აზნაურთა თანაუგრძნობს დღევანდელ ვითარებას და მშრომელ ხალხთან ერთად ებრძვის თანამედროვე ცხოვრების უკუღმართობას, მეორე ნაწილი კადნიერად ბედავს წინაღუდგეს ხალხის სურვილს და მისწრაფებას. დღეს ამ ნაწილმა, თავად გარდასახულთა სახით, გაბედეს და პატიოსან ახალგაზდის უმანკო სისხლით ხელი შეღებეს...

ჩვენ და ყველა ლეჩხუმელმა ვიცით, რომ ვერაგულ მოქმედების მსხვერპლი შამშე გელოვანი იმ ნაწილს ეკუთვნოდა, რომელთაც შეგნებული აქვთ თავიანთი მოქალაქობრივი მოვალეობა. ამიტომაც განსვენებული, რამდენადაც მომზადება შესწევდა, სცდილობდა ხალხის გამოფხიზლებას. შინ, თავის ოჯახში, და სხვაგან ის მუდამ ხმას აძლევდა გლეხთა სამართლიან უკმაყოფილებას, გლეხს უდგა გვერდში და მუდამ იმათ ინტერესებით სცხოვრობდა. იგი მტერი იყო უსამართლოების, მშრომელ ხალხის მოყვარე იყო... და ამიტომაც მოჰკლეს! მოკლეს, მაგრამ ცოცხალია სვანების გულში ის ნაპერწკალი, რომელსაც განსვენებული ნიადაგს უმზადებდა. მასი უმანკო სისხლი უფრო განაპოხიერებს იმ ნიადაგს, რომელზედაც უნდა დამკვიდრდეს სამართლიანობა... ისტორია სამარცხვინო ბოძზე მიაკრავს უმანკო სისხლის დამქცევთ და საშინელ მსჯავრს დასდებს ყველას, ვინც მათ გულენებს ან თანაუგრძნობს...

ამიტომ ზიზღს და შეჩვენებას ვუძღვნით იმ სამარცხვინო პირთ, რომელთაც ადგილი ჰქონიათ ჩვენს სამშობლოში! ზიზღს ვუძღვნით იმ ჩვენ თანამემამულეთ, ვინც ხელს გაუწვდის ხალხის მტერთ და უმანკო სისხლში დასვრილ ხელს ჩამოართმევს მათ.

გალაქტიონ გელოვანი

II

ბატონო რედაქტორო!

უზომოდ აგვაშფოთა შამშე გელოვანის მოულოდნელმა სიკვდილმა. ხალხის სამსახურისთვის თავდადებული, სიცოცხლით სავსე, უანგარო ახალგაზდა მსხვერპლი გახდა თავისივე მოძმის უკუღმართობის! ცხარე ცრემლებს დავსტირით მის ძვირფას ცხედარს და ზიზღს ვუძღვნით მის უგუნურ მკვლელებს!..

გიორგი ბოკერია, გიორგი ახვლედიანი, დ. გ. მდივანი, ვარლამ ბურჯანაძე, კონსტანტინე ჩხეიძე, ს. ქვარიანი, იასე რაჭველი, სოლ. ლეჭყვიანი, ბიგლარ ასათიანი, ვასილ ქაჩიაშვილი, კოწია ლორთქიფანიძე, იონა აბულაძე, რაჟდენ დათეშიძე, გ. გველაშვილი, ე. ჩხატარაიშვილი, ნ. მესხი, გ. ხოშტარია, დ. ს. მესხი, მ. ლაღიძე, ალექსანდრე ჩხეტია, ვასილ ქორქაშვილი, ა. თ. ხუნდაძე, ვ. ბეჟანიშვილი, ფ. მიქაბერიძე, იას. ნიკოლაიშვილი, ი. ბოლქვაძე, ივანე მემანიშვილი, ვარლამ გაბიჩვაძე, დავით მდივანი, ირაკლი მიქაძე, ნიკო დგებუაძე, ალექსანდრე ღლონტი, კოტე მუმლაძე, თეოფ. შველიძე, ვიქტორ მარუაშვილი, ილიკო მარუაშვილი, სიმონ კობახიძე, გ. გრიგორაშვილი, მ. პეიშვილი. მ. დადიანი (მიხა), მ. ბასილია, მუშნი დადიანი, ლავრენტი ჯინორიძე, ბართლომე ვაჩიბერაძე, ალექსანდრე ჩხეიძე, მიხაკო ქარჩხაძე, ი. გრიგორაშვილი, დ. კიკიანი, ხ. ფაჩულია, ძ. ახვლედიანი, გ. აბაშიძე, ილია მ. თევზაძე, ანდრონიკო ჯაყელი. *)

ერობის წარმომადგენელთა პროექტი

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ 22 აპრილს მოსკოვში დაიწყო თათბირი რუსეთის ერობათა წარმომადგენლებისა მომავალ რეფორმის შესახებ. რუსული გაზეთები გვატყობინებენ, რომ ერობათ უკვე პროექტიც შეუდგენიათ მომავალ წარმომადგენლობითი კრებისა, უკედ ვსთქვათ, იმის ორგანიზაციისა. რადგან ერობათა ხმას მნიშვნელობა აქვს დღეს რუსეთის ცხოვრებაში, საჭიროდ მივიჩნია, ეს პროექტი გავაცნოთ ჩვენს მკითხველებს.

1) რუსეთის იმპერიის სახალხო წარმომადგენლობას საფუძვლად არ უნდა დაედვას წოდებრივი პრინციპი, არც ეგრედ წოდებული ინტერესთა წარმომადგენლობის პრინციპი (ე. ი. განცალკევებული არჩევნები მცხოვრებთა სხვა-და-სხვა კლასისგან და სხვა-და-სხვა ჯგუფებიდან). არჩევნები უნდა მოხდეს ტერიტორიალურის პრინციპის მიხედვით.

2) ადგილობრივ თვით-მმართველობათაგან წარმომადგენლობაც არ უნდა ჩაითვალოს სახალხო წარმომადგენლობის უმთავრესს საფუძვლად. წარმომადგენლები მცხოვრებთ უნდა აირჩიონ პირდაპირ, ადგილობრივ დაწესებულებათა დაუხმარებლად.

3) წარმომადგენლების ამომრჩეველთათვის ქონებრივ და ცენზის დაწესება უსამართლობაც იქმნება და არც შეეფერება რუსეთის საზოგადოებრივსა და პოლიტიკურს მდგომარეობას.

4) რუსეთის ცხოვრების პირობებს არც განათლების ცენზის დაწესება შეეფერება, თუნდ ეს ცენზი წერა-კითხვის ცოდნას არ აღემატებოდეს.

5) არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება უნდა მიენიჭოს რუსეთის იმპერიის ყველა მცხოვრებთ მამობრივის სქესისა, რომელნიც სრულ წლოვანნი იქნებიან (21 წ.), გარდა: ა) იმ პირთა, რომელთაც სასამართლო ახდის უფლებათ ან შეუზღუდავს ზოგიერთ უფლებას; ბ) იმ პირთა, ვინც [illegible] ქვეშ იმყოფება; გ) იმ პირთა, ვინც სამხედრო სამსახურშია და დ) ვინც პოლიციაში მსახურებს.

6) სახალხო წარმომადგენლების არჩევის დროს ერთის ხმას მეტი არავის არ უნდა მიენიჭოს.

7) წარმომადგენლების არჩევნები პირდაპირი უნდა იქნან, ე. ი. წარმომადგენლები უნდა აირჩიონ მცხოვრებლებმა, რომელთაც საარჩევნო უფლება ექნებათ.

8) ორი პალატა უნდა იქნას: ერთი—პალატა სახალხო წარმომადგენლებისა, არჩეული საყოველთაო, თანასწორის და პირ-და-პირის კენჭის ყრის სისტემით; მეორე—საერობო პალატა, არჩეული საგუბერნიო ერობათა და დიდ ქალაქების საბჭოების მიერ. ორივე პალატა თანასწორ უფლებასა უნდა იყვნენ.

9) ადგილობრივი თვითმართველობა შემოღებულ უნდა იქმნას მთელს იმპერიაში,—თვითმართველობა უწოდებრივო. საერობო და საქალაქო თვითმართველობაში არჩევნების უფლება უნდა მიენიჭოს: ა) ყველას, ვინც განსაზღვრულ დროს რომელსამე ადგილას ცხოვრობს და ბ) ყველას, ვინც ადგილობრივ საერობო თუ საქალაქო გადასახადებს იხდის, მიუხედავად იმისა, ცხოვრობს ეს პირი მუდამ იმ ადგილას თუ არა.

10) ორსავე პალატაში არჩევნები ფარულად უნდა მოხდეს.

11) სახალხო წარმომადგენლების ასარჩევად რუსეთის იმპერია იყოფა საარჩევნო ოლქებად; თითო ოლქი თითო წარმომადგენელს ირჩევს ყოველ 150-200 ათას მცხოვრებზე.

12) იმპერიის დაყოფა საარჩევნო ოლქებად კანონით უნდა იქმნას განწესრიგებული; სასურველია შემდეგს პირობების დაცვა: ა) საარჩევნო ოლქები თანასწორნი უნდა იყვნენ, ე. ი. დაწესებული უნდა იქმნას მცხოვრებთა მაქსიმუმი და მინიმუმი ყოველს ოლქისათვის; ბ) ყოველს შემთხვევაში სასურველია, რომ საარჩევნო ოლქის დაწესების დროს ახლანდელ მაზრის საზღვრები იქმნას მხედველობაში მიღებული, ე. ი. ან ერთი მაზრა შეადგენდეს საარჩევნო ოლქს, ან ერთ მაზრაში ორი საარჩევნო ოლქი იქმნას; მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლებოდეს ორის მაზრის ნაწილების შეერთება ერთ საარჩევნო ოლქას შესადგენად; გ) ქალაქები, თუ მცხოვრებთა რიცხვი მათში აღემატება განსაზღვრულ ნორმას, უნდა გამოეყვნენ მაზრიდან და შეადგინონ ერთი ან ორი საარჩევნო ოლქი; დანარჩენები უნდა შეუერთდნენ მაზრებს; ყოველ შემთხვევაში ქალაქების გაყოფა რამდენსამე საარჩევნო ოლქებს შუა შეუძლებელი უნდა იყოს.

13) საარჩევნო სიებში შეტანილ უნდა იქმნან ყველა ისინი, ვინც ამ პროექტის მე-5 მუხლში აღნიშნულ პირობებს აკმაყოფილებენ და ვისაც მუდმივი ბინადრობა აქვს რომელსამე საარჩევნო ოლქში ან ვინც დიდ-ხანს ცხოვრობდა რომელსამე ოლქში.

14 დეპუტატად არჩევა შეიძლება ყოველ იმ პირისა, რომელსაც საარჩევნო უფლება აქვს, მიუხედავად იმისა—ცხოვრობს ეს პირი თუ არა ამ საარჩევნო ოლქში, საჭიროა-კი, რომ ამგვარ პირის დეპუტატად არჩევა 10 ამომრჩეველმა მაინც მოისურვოს.

15) თუ პირველ არჩევნებზე კანდიდატებს არ ამოუვიდა ყველა ხმების უმეტესობა (აბსოლიუტიური უმრავლესობა), არჩევნები მეორედ უნდა მოხდეს; მეორე არჩევნების შემდეგ არჩეულად ჩაითვლება ვისაც მეტი ხმა მოუვიდა.

16) სახალხო წარმომადგენლები სამის წლის ვადით უნდა აირჩიონ. თუ ამორჩეული ვადის დაწესებულებამდე გავიდა პალატიდან, ოლქმა მეორე დეპუტატი უნდა აირჩიოს.

17) საერთო (მეორე) პალატა შესდგება სახელმწიფო ხმოსნებისაგან, რომელთაც ირჩევენ საგუბერნიო ერობანი და დიდ ქალაქების საბჭოები ამ წესით: ა) იმ გუბერნიებიდან, რომლებშიაც 500 ათას მცხოვრებზე ნაკლებია, ირჩევენ თითო ხმოსანს; ბ) რომლებშიაც 500 ათას მცხოვრებიდან 1 მილიონამდეა—ორ-ორ ხმოსანს; გ) რომლებშიაც 1 მილიონიდან 2 მილიონამდეა—სამ-სამ ხმოსანს; დ) რომლებშიაც ორ მილიონიდან სამამდეა—ოთხ-ოთხ ხმოსანს; ე) რომლებშიაც 3 მილიონ მცხოვრებზე მეტია—ხუთ-ხუთ ხმოსანს; ვ) იმ ქალაქებიდან, რომელნიც საკუთარ საარჩევნო ოლქს შეადგენენ, მაგრამ რომლებშიაც 200 ათასზე ნაკლები მცხოვრებია, თითო ხმოსანი უნდა იქნას არჩეული; ზ) იმ ქალაქებიდან, სადაც 200—400 ათასი მცხოვრებია, უნდა აირჩიონ ორ-ორი ხმოსანი; თ) სადაც 400 ათას—ერთი მილიონია—სამ-სამი ხმოსანი; ი) სადაც ერთ მილიონზე მეტია, ოთხ-ოთხი ხმოსანი.

შენიშვნა. თუ რამდენიმე გუბერნია ავტონომიას შეადგენენ, მაშინ საერობო პალატაში ხმოსნები ამ ავტონომიიდან უნდა აირჩიოს ავტონომიის წარმომადგენლობითი კრებამ; ხმოსნების რიცხვს ავტონომიიდან კანონი განსაზღვრავს.

18) სახელმწიფო ხმოსნებიც იმ ვადაზე და იმ წეს-რიგით ირჩევა, როგორც სახალხო წარმომადგენლები.

19) ამომრჩევლები ვერავითარ ინსტრუქციებსა და დარიგებას ვერ მისცემენ დეპუტატებს.

20) სახალხო წარმომადგენლები და სახელმწიფო ხმოსნები უნდა იღებდნენ კანონით განსაზღვრულს ჯამაგირს ხაზინისაგან.

შემდეგ ერობათა პროექტი ეხება ბულიგინის კომისიის მუშაობას და ამ საგანზედაც თავის აზრს წარმოსთქვამს. ამაზე ხვალ. („რ.“)

სწავლა-განათლება ჩვენში და ტფ. სათავად-აზნაურო სკოლა.

ამ 1905/6 სამოსწავლო წლის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელს სულ 15 მოსწავლე ათავებდა. წლის განმავლობაში საქმე კარგად მიდიოდა, კლასს საზოგადოდ არა უჭირდა რა და, წარმოიდგინეთ, რუსულს ენაშიაც კი ურიგოდ იყო. მაგრამ, დახეთ ეშმაკს, მოახლოვდა მარტი და ეს ისეც პატარა ჯგუფი „ჩვეულებისამებრ“ სულ დუკმა-დუკმად დაიშალა, აქა-იქ გაიფანტ გამოიფანტა და მგონი „ჩვეულებისამებრვე“ უპატრონოდ და გზა არეული დარჩა. არ ვიცი, სწორე მოგახსენოთ, ვის უყურადღებობას გამო ხდება, მაგრამ ეს რომ ფაქტია, ამას წინ არა უდგა-რა. აბა ხომ მოგეხსენებათ, რომ ტფ. სათავად-აზნაურო სასწავლებელს იმას მიუხედავად, რომ იგი მთელ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის ეკუთვნის და შიგ თითქმის 800-მდე თავად-აზნაურის შვილი იზრდება და სწავლობს, იმის მიუხედავად, რომ აქაც ისეთივე 8 კლასია, როგორც გიმნაზიაში, სწორედ ისეთივე პროგრამაა, როგორც იქ, ისევე და იგეთივე მასწავლებლებიც არიან, როგორც გიმნაზიაში და მგონი ისევე ასწავლიან,—აი ყველა ამისდა მიუხედავად, ამ ტფ. სათ.-აზნ. სასწავლებელს დღემდე (ცოტა კი არ გეგონოთ, ბატონო, აი თითქმის 25 წელიწადი სრულდება, რაც ეს სკოლა არსებობს) არაფერი, ნატამლის ნატამლი უფლებაც კი არ მოეპოვება და მოსწავლეებს, კურს დამთავრების უმალვე, მთავრობისაგან ნებადართულ გიმნაზიებში ჰგზავნიან და ხელახლად „ეგზამენების დაჭერაში“ ავარჯიშებენ.

აი ეს როგორა ხდება: ყოველთვის, წლის ბოლოში, უმაღლეს სასწავლებლისათვის მომზადებულ ქართველ მოწაფეთა ჯგუფს დაჭყოფენ კიდევ რამდენსამე პატარ-პატარა ჯგუფად და ტფილისის ნაქებ გიმნაზიებს ჩამოურიგებენ. შემდეგ დაუნიშნავენ მოწაფეს თითო ან რამდენსამე დღეს თითო ან რამდენსამე საგნიდან ერთად და მთელის 12 წლის განმავლობაში შესწავლილს კურსს ორიოდე დღეში კადაბულბულეცინებენ. როცა ამ გვარად მოწაფე მომზადდება და უკადაფერით თავს გამოილუღლუებს და ყოველ ცოცხალ აზრს შიგ ძარშავე ბოლოს მოუღებს, მაშინ იმას პირჯვარს გადასწერენ და ეგრედ წოდებულ „ატესტატებზე“ ათებზავებენ. ვინც ბედს უჩიხლად გადაისვრის და ცოტა დახელოვნებულიც აღმოჩნდება, ის, რასაკვირველია, თევზსაც დაიჭერს და ნეტარებაც იმას! იმისათვის გაიღება სამოთხის კარი—რუსეთის უნივერსიტეტი, მას საუკეთესო ადგილი დაუთმობა, ჩვენი საზოგადოება აღტაცებით და ტაშის კვრით მიეგებება, თავად-აზნაურობა „სტიპენდიას“ გაუღებს და იხარე სულო, ჩვენს ტანჯულს ხალხსაც ხომ აღარა უშავს რა—ერთი ქართველი „ჩინოვნიკიც“ მოემატება!

მაგრამ დავანებოთ ამას თავი. მე იმათზე მსურდა მელაპარაკნა, ვინც ვერ დაიჭერს ხოლმე ეგზამენს და, რასაკვირველია, „უატესტატოდაც“ რჩება. ტანჯული აბა ესენი არიან. თუ ცოტა რამ მოეპოვებათ და როგორმე გიმნაზიაში შეძრომაც მოახერხეს, ხომ კარგი, თუ არა და ვაი იმათი ბრალი! სალდათობა თუ ეღირსათ მარტო, არა უშავს რა, ამას არც არავინა სჩივის, მაინც რუსეთი საჭიროებს ეხლა განათლებულ სალდათებს. მაგრამ ხან-და-ხან უარესიც მოსდით. აბა, ჩვენი თავად-აზნაურობა „უმუნდიროდ“ მათ ახლოს რას მაიკარებს, საზოგადოება განრისხებულია: „აი თქვე უთვლად უვარგისნო, თევზი რატომ არ დაიჭირეთო!“. მშობლები ხომ, რომელთაც ვერც გაუგიათ, თუ ამოდენა სწავლის შემდეგ იმათი შვილები ესრე ოხრად როგორღა დარჩნენ, კარებს უხურავენ და წყევლა-კრულვით ქუჩისკენ ისტუმრებენ... ის კი ვერ შეუსმენიათ ამ დალოცვილებს, რომ თევზს მშრალი ხელით ყველა ვერ დაიჭერს და ამასთანავე სხვა-და-სხვა იარაღიც არის საჭირო: აბრეშუმით ნაქსოვი ბადე, ლაზათიანი პაწკაი ჩანგალი და ზედ სქელი მსუქანი ჭიაც. აბა საიდან უნდა იშოვნონ ყველა ეს ამ ისეც გადარიბებულმა თავად-აზნაურებმა და ამიტომაც რჩებიან ოხრად, უპატრონოდ და უგზო-უკვლოდ... განა არ შეიძლება, რომ ამ სახაფათო თევზაობას და აქა-იქ წანწალს ბოლო მოეღოს და საბოლოო გამოცდა თვით სკოლის კედლებშივე გაიმართოს?

რაც შეეხება უმაღლეს სწავლა-განათლების მიღებას, კომიტეტმა ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რომ უმაღლესი განათლება მათ საზღვარ-გარედ მიაღებინოს, აუცილებლად საჭიროა, რომ სკოლამ ნიღაბი აიხადოს, მთლად თავი დაანებოს გიმნაზიების მიბაძვას და თავისი ნამდვილი ფიზიონომია მიიღოს.

მართლაც და რომ ჩაუკვირდეთ, მაგ სკოლის მთელი წარსული რაღაც „შავ-თუ-წითელ“-ის თამაშობას წარმოადგენს. „ყეენ-ბობოლებისაგან“ შეშინებული, დღემდე ეგ სადღაც კუთხეში იმალებოდა და ფერმიხდილი, დღითი-დღე მოელოდებოდა თავის აღსასრულს. მაგრამ ამაზედ დღემდის ხმა არავის არ ამოუღია. პირიქით, გავარდა ხმა, რომ ვითომც 50 თავად-აზნაურს ხელის მოწერით ტფილისის სათ.-აზნაურო სკოლის დაკეტვის სურვილი გამოეცხადებინოს. რასაკვირველია, ეს ხმა ჭორი უნდა იყოს, მართლაც-და რომელს ქვეყანაში მოიპოვებიან ისეთი პირები, რომელთაც თავის ერთად-ერთი სასწავლებელი დახურონ და თავის შვილებს ერთად-ერთი ადვილად მისაწდომელ განათლების

---

*) სულ 54 კაცს უწერია ხელი.

გზას დაუხშონ. ან შეიძლება ტყუილი არ იყოს და ამას სულ სხვა საფუძველი ჰქონდეს? აქა-იქ გაისმის თურმე: „გლეხებმა აგვიკლეს, გადაგვბუგეს და ქვეყანაზე აღარაფერი აღარ მოგვეშვებათ“. კარგი, ბატონო, მაგრამ განა ყველა ეს სწორედ იმის ნაყოფი არ არის, რომ ჩვენ ნამდვილი განათლებული ხალხი სრულიად არა გვყავს, რომ ჩვენი ინტელიგენცია მეტად პატარა და სუსტია, რომ ჩვენ „მეფიარადები“ უფრო მეტი მოგვეპოვება, ვიდრე ნამდვილი და გამოცდილი მოღვაწე?!. არა, ბატონო, ჩვენ გლეხებმა კი არ აგვიკლეს, არამედ ჩვენმა დაუდევრობამ, ჩვენმა გულგრილობამ და უთავ-ბოლობამ! ჩვენ, თვით მოუმზადებლებმა, ხალხიც საკმარისად ვერ მოვამზადეთ, გონიერად ვერ აღვზარდეთ და ამ ესრედ დიად ისტორიულს მომენტს მის ლტოლვას და მისწრაფებას ქვეყნისათვის სასურველი მიმართულება ვერ მივეცით!.. აბა მაშ რადას ვემდურით ამ ისრეც ტანჯულ ხალხს, რომელსაც გამოცდილი ხელმძღვანელები არა ჰყავდა, არც სწავლა-განათლებით იყო შეიარაღებული და მარტოდ მიტოვებულმა ძლიერ ორიგინალურად, სტიქიურად და მკაფიოდ გამოსთქვა თავისი გრძნობები. არა, ხალხს ჩვენ სრულიადაც ვერ გავამტყუნებთ. ჩვენ, მხოლოდ ჩვენ თვითონვე ვართ დამნაშავე; დამნაშავეა ყველაზე მეტად, ვინც წინასწარ განზრახვით ხალხი ჯერ ქონებრივ ჰყვლიფა და შემდეგ განათლების გზას დაუხშო. ჩვენ კი, ბატონებო, კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ დღევანდელ მდგომარეობიდან მხოლოდ სწავლა-განათლება და გვიხსნის. ჩვენთვის კულტურული წარმატებაა საჭირო და უნდა დავეშურნეთ კიდეც, იმიტომ რომ ცხოვრება არ იცდის და თავისას თხოულობს. ერთად-ერთი სასწავლებლის დახურვა კი არა, ასობით გვმართებს გაღება ახალ სასწავლებლისა.

და აი თუ თავად-აზნაურთ სამშობლოსადმი ცოტაოდენი სიყვარული მაინც აქვთ, შეკრიბნენ და დაიძახონ ხალხთან ერთად: ჩვენ არ გვინდა ისეთი სასწავლებელი, სადაც ჩვენ ბავშვებს დასტანჯავენ, დაამახინჯებენ და ყოველგვარ სისულელით თავს გამოუტენებენ! ჩვენ არ გვინდა ისეთი სასწავლებელი, სადაც ყოველი „უჩენ-ბობოლა“ თავის მაგრე ხელებს წაურევს, ჩვენ არ გვინდა ისეთი სასწავლებელი, სადაც მშობლიური ენის სწავლა თავისუფლად შეუძლებელია და სასაცილოდ და სამარცხვინოდ ასაგდებია! სადაც ყოველ ჯალათს და ჯაშუშს ნება ექნება ჩვენი შვილები სწრიკოს და ყოველგვარი ანგარიში უწიოს მოწაფეს და მასწავლებელს! ჩვენ გვინდა ისეთი სასწავლებელი, რომლის კარიც ყველასათვის ერთნაირად იღებოდეს, სადაც ქართველი ქართულადა სწავლობდეს, გაიცნობდეს თავის ქვეყანას, იმის კარგსა და ავს, წარსულს და აწმყოს, შეადარებდეს მათ, ჩაუკვირდებოდეს თავის მშობელ ხალხს, ამოიკითხავდეს მის ჭირსა და ვარამს, შეიყვარებდეს მას და მთელს თავის სიცოცხლეს მის მომავალ ბედ-იღბალს შესწირავდეს... მართლაც-და გვეყოფა, ბატონო, ქართველი „ჩინოვნიკები“; დრო არის, რომ ცოტა სხვა რამეზედაც ვიფიქროთ. რუსეთს [illegible] ჰყავს „ჭიბის სპეციალისტი“ და [illegible] უჩვენოდაც გასძღებს. რაც შე[illegible]ენს ქვეყანას — ის თხოულობს მხოლოდ [illegible] მუშაკს, განათლებულს, დაუღალავ, [illegible] მოღვაწეს...

გენო ყორჩიბაში

რუსეთის ქრონიკა

[illegible]ეთის რკინის გზების ერთი ნაწილი, უ[illegible] შემოსავლიანი, უცხოელების ხელში გადადის, იტყობინებიან რუსული გაზეთები. წინადაც იყო ეს ხმა, მაგრამ ოფიციალურად უარჰყვეს. ეხლა ისევ იმეორებენ ამ ხმას. „როგორც გავიგეთ, — სწერს „ს. ო“. ეკატერინინის, ხარკოვ-ნიკოლაევის და კურსკ-ხარკოვ-სევასტოპოლის რკინის გზები უცხოელ კაპიტალისტების საკუთრებად გადადის რვაას მილიონ მანეთში. გასულ წელს ამ სამმა გზამ 24 მილიონი მანეთი შემოსავალი მოიტანა“.

როგორც ვიცით, რუსეთის დანარჩენ რკინის გზებს, გარდა ზოგიერთებისა (ამათ შორის ამიერ-კავკასიის რკინის გზას მეორე ადგილი უკავია) ყველას ზარალი მოაქვს.

ყაზახები მინსკში. 16 აპრილს ლიუდამონტის ახლო ყაზახ-რუსების პატრულმა მოასწრო ახალგაზდა მუშებს, რომელნიც სროლაში ვარჯიშობდნენ. სამი დაატუსაღეს, შესვეს ცხენებზე და პოლიციის სადგომში წაიყვანეს. დანარჩენები დაიქსაქსნენ. (რ. ვ.)

რკინის გზის მოსამსახურეთა საერთო კრება. 20—21 აპრილს რუსეთის რკინის გზების მოსამსახურეთა კრებები იყო. დაადგინეს დაარსონ „სრულიად რუსეთის რკინის გზათა მოსამსახურეების კავშირი“. კავშირს ორგვარი მიზანი აქვს, ერთი პროფესიონალური—შეერთებულის ძალებით გაუმჯობესება მოსამსახურეთა მდგომარეობისა, მეორე პოლიტიკური—ეხლანდელ სახელმწიფო წესწყობილების შეცვლა, რადგან სოლიდარული მოქმედება კავშირის წევრებისა შეუძლებელია ისეთ სახელმწიფოში, სადაც ძირითადის კანონებით და დაწესებულებით უზრუნველყოფილი არ არის თავისუფლება პიროვნებისა, წერისა, სიტყვისა, შეკრებისა, შეკავშირებისა და გაფიცვისა. „კავშირის პოლიტიკური მიზანია არსებულ სახელმწიფო წესწყობილების შეცვლა და, როგორც ლოღიკური შედეგი ამისა, მოთხოვნა დამფუძნებელ კრების მოწვევისა საყოველთაო, ყველასათვის თანასწორ (განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა, სარწმუნოებისა), პირდაპირ და ფარულ კენჭის ყრით“. (რ. ვ.)

სრულიად რუსეთის მასწავლებელთა კავშირს უკვე ათას-ორასზე მეტი წევრი ჰყოლია; კავშირის წევრებად ჩაწერილან ტფილისის გუბერნიიდანაც. ამიერ-კავკასიის სხვა გუბერნიებიდან კი ჯერ არავინ არის.

18 აპრილი (1 მაისი) მინსკში. ვარშავის არ იყოს, აქაც დიდი მანიფესტაცია ყოფილა აღდგომის მეორე დღეს. ყველა ფაბრიკა-ქარხნები, სახელოსნოები და მაღაზიებიც-კი დაკეტილი იყო. შეტაკება მოხდა ჯარებსა და მანიფესტანტებ შორის. რითი გათავდა ეს შეტაკება, გაზეთები არ იტყობინებიან მათგან დამოუკიდებელ მიზეზის გამო.

წერილები

ლენქორანი. ეგრედ წოდებულს „გრაფინია იგნატიევის კანტორას“ ლენქორანში იჯარით აუღია ბელესუარის მუხის უზარ-მაზარი ტყე, სადაც გასულს წელს ავსტრიელების წყალობით გაჩაღებული მუშაობა ყოფილა. ეს გარემოება არ გამოჰპარვია შევიწროებულს გურულებს, რომელთაც ტყის მასალის დამუშავება „კანდრატად“ აუღიათ. პირველად საქმე კარგად მიდიოდა. მაგრამ, როცა ომი გაჩაღდა, უცხოელებმა ტყეს თავი მიანებეს და რუსის კანტორაც იმდენად დაძაბუნებულა, რომ ლიკვიდაციას ცოტა აკლია...

სპარსეთის ამ მოსაზღვრე მიდამოებში, სადაც თითქმის თვე არ გაივლის, რომ რუსის „პატრული“ არ მოჰკლან თათრებმა მარტო იმისათვის, რომ თოფი წაართვან, კანტორას სამი შეიარაღებული მუშა ზის ტყეში ჰყოლია სახელწოდებით „сторожа охраны“. აი, ამათ შეიარაღებულს კანტორის ტყის მცველთ, საღამოს ჟამს, როცა ჩაის სვამდნენ, თავს დაეცა 40 შეიარაღებული თათარი. კაზიანი და ერთი სომეხი გასროლისთანავე მოჰკლეს. მხოლოდ მესამე ამხანაგს, ლუკა მეგრელაძეს თოფი ხელში სჭერია, მყისვე ხე უფარებია და ორი ყაჩაღი მოუკლავს. ყაჩაღთა ბრბოს ნაწილს ზურგიდან შემოუვლია მეგრელაძისათვის და ხუთის ტყვიით გაუგმირავს ოცი წლის მოხუცის დედ-მამის ერთად ერთი ნუგეში და მარჩენალი ვაჟკაცი. ამასაც აღარ დასჯერდნენ: ხანჯლებით დაასახიჩრეს და შემდეგ ცეცხლი წაუკიდეს...

გურიიდან ჩამოვიდა საწყალის მოხუცი მამა, რომ უკანასკნელად გამოსთხოვებოდა თავის იმედს-შვილს, რომელიც ამ დროსთვის კიდევაც დაესაფლავებიათ აქაურს ქართველობას ალექსანდრე მასხულიას და ერმილე ჯაფარიძის ხარჯით და მეთაურობით.

„გრაფინია იგნატიევის კანტორის“ დირექტორი ლიჩკუსი იქ არ დაგვხვდა. ჩვენ გავიგეთ მხოლოდ, რომ არც ერთი მუშა კანტორას „დაზღვეული“ არა ჰყოლია. ვნახეთ კანტორის მოსამსახურენი და მუშები, რომელთაც რამდენი ხანია მწარე ოფლით ნაამაგარი ხვედრი ფული ვერ მიუღიათ და დღესაც იქ ელოდებიან. ვნახეთ განსვენებულის კანტორიდან მიცემული „**разчетная книжка**“, საიდანაც სჩანს, რომ ექვს თუმნამდის ფული ერგება, მაგრამ ვინ არის მომცემი?! როგორც იყო, ბაქოში, ერთს მდიდარს სასტუმროში, ვიპოვნეთ კანტორის დირექტორი ბ-ნი ლიჩკუსი, რომელმაც მეგრელიძის ექვსი თუმნიდან 25 მანეთი ძლივს მოგვცა.

პოლიკარპე თალაკვაძე

ჭალადიდი. 14 აპრილს, დიდ ხუთშაბათს აქაურ მედუქნე მანუჩარ მელიქიასთან დღისით, თორმეტ საათზე, დუქანში შევიდა ოთხი შეიარაღებული კაცი და ფული მოსთხოვა, მაგრამ მედუქნის კასაში ექვსი აბაზის მეტი არა აღმოჩნდა-რა. ამით ნაწყენმა „ყმაწვილებმა“ არც საქონელი იუკადრისეს. წაიღეს... ოთხი ქალამანი, ოთხი შეკვრა თუთუნი, ერთი ბოთლი არაყი და ხელდამშვენებული გმირები რაინდულის თავმოწონებით გაუდგნენ გზას. კარგია, მედაჩემმა ღმერთმა, ამ ქესატობის დროს!!

ამ დღესასწაულებს ვერაფერის გუნებით მივეგებეთ. ჯერ საერთოდ აღარ არის არაფრის ხალისი და მერე კიდევ ამ ბედნიერ დღეებზე მთელი სოფელი წყალში ცურაობდა, რადგან გადუღებელ ავდრების გამო რიონმა გადმოიარა და ჩვეულებრივად შავი დღე დაგვაყენა. ყველა ეს კი რკინის გზის მიწყალებით გვემართება, რადგან არ იქნა და არ გააკეთა რკინის გზამ დამბა, რის გაკეთებასაც რამდენჯერმე შევედრნენ მცხოვრებნი რკინის გზის მმართველობას. ნეტა ვიცოდეთ, ჩვენც შევადგენთ სახელმწიფოს მკვიდრთ და იმ მრავალ მილიონებში, რომელიც ყოველ წლობით ამიერ-კავკასიის რკინის გზისაგან შედის ხაზინას, ჩვენი ოფლიც ურევია თუ არა?.

წერილი რედაქციის მიმართ

I

ამას წინად მოვიწვიე ანჩისხატის მღვდელი კარბელაშვილი ყმაწვილის მოსანათლად. ვთხოვე საღამოს 8 საათზე მოსულიყო, რადგან ყმაწვილი შეწუხებული იყო და მორჩენის იმედი არა გვქონდა. მღვდელი-კი ღამის 1 საათზე მოვიდა მოსანათლად. ასეთივე ამბავი მოხდა მარტის ხუთმეტში. დილის 7 საათზე ჩაველი ამავე მღვდელთან და ვთხოვე მოსულიყო, 11 წლის ყმაწვილი ავადა მყავს ძალიან, მინდა ვაზიარო მეთქი. მოსვლის მაგიერ მამა კარბელაშვილმა მიპასუხა, მოიცადე, საღამოზე მოვალო. ნუ თუ სიკვდილმა მოცდა იცის?! მეორედაც გავგზავნეთ, რადგან კვდებოდა. თვითონ მაინც არ გაისარჯა და სხვა მღვდელი გამოგზავნა. ამ მღვდელს ყმაწვილი გულ-წასული დახვდა. რის წვალებით მოვაბრუნეთ და ზიარება მიაღებინა. აი, ამნაირად მომექცა ორჯელ. მაგრამ ესეც არ მაკმარა. ყმაწვილი გარდაიცვალა და მოვიწვიე დასამარხად როგორც მამა კარბელაშვილი, ისე სხვა მღვდელი. ეკკლესიაში გამოჰყვა, მაგრამ ეკკლესიიდან აღარ გამოჩნდა და მეორე მღვდელმა დამარხა. მამა კარბელაშვილი რაღაც საქმეზე გაეშურა. შენი მტერი, მოწვეული მღვდელი რომ არა გვყოლიყო, ყმაწვილი უმღვდლოდ უნდა დამარხულიყო. ყველას. ამას გარდა აღდგომის ორშაფათს მობძანდა სახლის გასანათლად, მხოლოდ ღამის 10 საათზე: ის იყო ვიძინებდით. შესაძლებელია, მამა კარბელაშვილს სხვა, არა სამღვდელო, საქმე ბევრი აქვს, მაგრამ, ჩვენ რა შუაში ვართ?

სანდრო კურატაშვილი.

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“.

28 აპრილი

ჰონკონგი, 27 აპრილი. (დეილი-მეილი). ფორმოზისა და პესკადორის კუნძულებზე მიიტანეს ორის წლის საყოფი საკვები და სამხედრო სურსათი და მიიყვანეს ძლიერი არტილერია. ჯარები დგანან 10 მილის მანძილზე ტანსიუსა და კილუნგიდან. კილუნგი ძლიერის ზარბაზნებითაა გამაგრებული. ჯარები დგანან აგრეთვე ტაიპეტსა, ოკუტოსა და ტაიჩუში, საერთოდ ჯარის რიცხვი 15 ათასამდეა. თუ რუსები დაეცნენ, ყველა, ვისაც კი იარაღის ტარება შეუძლიან, მომქმედ ჯარებში ჩაირიცხება. იაპონიის შკიპერი იუწყება, კილუნგსა და პესკადორებს შორის იაპონელებს 85 სამხედრო გემი ჰყავთო.

საიგონი, 27 აპრილი. 26 აპრილს ღამით წმ. იაკობის კონცხთან მოვიდნენ მაშველი კრეისერი „რიონ“-ი და ჯავშნიანი კრეისერი „ჟემჩუგ“-ი და მოუტანეს ნებოგატოვს ინსტრუქციები; დილით კოხინხინის გუბერნატორის თხოვნით ისინი ზღვაში გავიდნენ. გემებზე მოსამსახურენი კარგად არიან. ამბობენ, ესკადრაზე აუარებელი სურსათია, თამბაქოსა და სიგარებს გარდა. საჰოსპიტლო გემი „კოსტრომა“ 29 აპრილს ზღვაში გავა.

ტოკიო, 27 აპრილი. (რეიტ.) ბრალი დასდვეს ჯაშუშობაში და დაატუსაღეს ფრანგი ბუგუენი და მისი გერი სტრენჯი, ინგლისის ქვეშევრდომი.

დმიტროვსკი, 27 აპრილი (ორლოვის გუბ.). აქ მუშაობას შეუდგა დროებითი კომისია გლეხების მოძრაობის შესახებ უმაღლესად ამ საქმისთვის გამოგზავნილ ლიტვინოვის თანადასწრებით.

კალიში, 27 აპრილი. ლენჩიცკის მაზრის მემამულეებმა დაადგინეს გააუმჯობესონ მუშა გლეხების ყოფა-ცხოვრება, მოუმატონ სამუშაო ქირას, უზრუნველ ჰყონ მათი სიბერის დრო და შკოლებში მისცენ მათი შვილები.

ვიაზნიკი, 27 აპრილი. სენიუკოვის ფაბრიკის ფეიქრებმა თავი გაანებეს მუშაობას და მოითხოვეს ხელ-ფასის მომატება. მათი მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა.

განჯა, 27 აპრილი. ჯევანშირის მაზრის გლეხ-კაცობასა და მემამულეებს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება, აგრარულ ხასიათისა, მოგვარებულ იქნა პოლიციის დაუსწრებლად. გუბერნიაში მცხოვრები სექტანტ-დუხობორები აღტაცებით მიეგებნენ უქაზს სარწმუნოების თავისუფლების შესახებ.

ჩიტა, 27 აპრილი. ბურიატების სიეზდის სადამოს სხდომაზე დაადგინეს: სასურველია შემოღებულ იქნას რეფორმები ბურიატთა საზოგადოებების ეროლობის სახით, ეროლობაში მონაწილეობას უნდა იღებდნენ რწმუნებულნი ყოველ ათ ოჯახიდან დანიშნულნი, დაერქვას ვოლოსტს ინოროდცების სამმართველო, ყოველ 50 კაცზე ამორჩეულთაგან შედგეს წრე, რომელიც უნდა განაგებდეს სამეურნეო და საოჯახო საქმეებს და დაარსებულ იქნას ბურიატთა სამოხელეო საბჭო, სადაც მონაწილეობას უნდა იღებდნენ ყოველ ას კაცზე თითო არჩეული პირი. ეს საბჭო პირდაპირ უმაღლეს მთავრობას უნდა მართავდეს ხოლმე, როცა საჭირო იქნება; სამმართველოებთან უნდა დაწესდეს სასამართლო, რომლის გადაწყვეტილება საბოლოო იქნება და ყოველ სამს წელს უნდა მოხდეს საბჭოებისაგან ამორჩეულთა სიეზდი, რათა თვითმმართველობანი მუდამ გაერთიანებული იქნენ.

კიევი, 27 აპრილი. კერძო ცნობებით ჟიტომირში ებრაელების ამოჟლეტის დროს 13 ებრაელი და ხუთი რუსია მოკლული, მათ რიცხვში ორი კიევის უნივერსიტეტისა და ერთი ხარკოვის ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის სტუდენტი.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან.“

28 აპრილი

პეტერბურგი. გენ.-ადმირალის თანადასწრებით ახალ საადმირალოში შეუდგებიან საზღვაოსნო საკანონირო ნავის „გილიაკ“-ის შენებას და წყალში ჩაუშვებენ ნავს „ხივანეც“-ს, გალიორნი კუნძულზე კი შეუდგებიან საესკადრო ჯავშნოსან „ანდრეი პერვოზვანნი“-ს კეთებას.

პარიზი. „ტან“-ში დაბეჭდილია იაპონიის მთავრობის ნოტა, რომელშიაც ჩამოთვლილია 8 შემთხვევა საფრანგეთის მიერ ნეიტრალიტეტის დარღვევისა როჟესტვენსკის სასარგებლოდ. იაპონიის აზრით, საფრანგეთის მთავრობის ბრძანება არ აასრულეს სავსებით, და როჟესტვენსკიმ შესძლო მისსია სისრულეში მოეყვანა და ჩინეთის წყლებში მისულიყო მხოლოდ საფრანგეთის წყალობით. ის დგებოდა საფრანგეთის წყლებში, სურსათს იმზადებდა და სრულიად უშიშარ ყოფილი მაშველ გემებს ელოდა.

პარიზი. გუშინ დელკასესა და რუვიეს თათბირი ჰქონდათ შორეულ აღმოსავლეთში მომხდარ ამბების შესახებ და ილაპარაკეს „ყვითელ წიგნი“-ს გამოქვეყნების შესახებ; ამ წიგნში მოთავსებულია დოკუმენტები, რომელნიც ამტკიცებენ, რომ საფრანგეთი მუდამ იმის ცდაში იყო, რომ ნეიტრალიტეტი დაეცვა.

პეტერბურგი. ლინევიჩის უქვეშევრდომილესი დეპეშა 1905 წ. 26 აპრილის თარიღით: „24 აპრილს ჩვენს მოწინავე რაზმებზე იერიში მოიტანეს პოდისუხე-ში, ხუზეს გზაზე მტრის ცხენოსნებმა ჯვარედინ ცეცხლ ქვეშ. იაპონელები მოგერიებულ იქნენ; 25 აპრილს მტერმა კიდევ სცადა ჩრდილოეთისაკენ დაეხევინებინა მათთვის, მაგრამ ამაოდ. 26 აპრილს ჩვენი ცხენოსანი რაზმი წავიდა წინ შახეძზისკენ, საცა იაპონელები იდგნენ. იაპონელების მიწის საფრებს მოუარეს ჩვენებმა დასავლეთიდან, მიუჩემეს არტილერიის ცეცხლი და იძულებული გახადეს იგინი წასულიყვნენ სოფ. სინიაპუსკენ, საიდანაც ისინი ხელახლა გაიძევეს და დაახევინეს სოფ. მადიოპასკენ“.

პეტერბურგი. შორეულ-აღმოსავლეთიდან არ მოსულა 27 აპრილს ოფიციალური ცნობები. გვარდიისა და პეტერბურგის სამხედრო ოლქის ქვეითა და კავალერიის ჯარების ნაწილებს ებრძანათ გადავიდნენ ცარსკოე სელოში საბანაკო კრებულში მონაწილეობის მისაღებათ.

მოსკოვი. იმ პარტიამ, რომელიც თავისთავს „რუსთა კავშირ“-ს უწოდებს, განიხილა პროექტი სახელმწიფოს საქმეების თვითმპყრობელობის ნიადაგზე მოწყობისა, რომელიც დამყარებულია ხალხის წარმომადგენლობაზე, სასურველად სცნო, ხალხის წარმომადგენლებით სახელმწიფო საბჭო შეივსოს და ნუ იქნება დაარსებული სახელმწიფო სათათბირო. (дума).

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 22 აპრილს 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. ტ.	94,30
ბერლინისაზე 100 მარკაში	46,00
პარიზისაზე 100 ფრანკში	37.50
ლონდონისაზე ჩეკები	94,90
ბერლინისაზე „	46,80
პარიზისაზე	37,75½
ბირჟის დისკონტი	5½ 6¾%
4% სახელმწიფო რენტა	84
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	—
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	380
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	292¾
5% გირ. მომ. ფურც. სახ. სა.-მამ. ბან.	272
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
5½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	219

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა
18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № (20 მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 13 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.) 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ., (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.);. 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღ. 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.) 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 9 წ. (11 ს. 7 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 ს (8 ს. 20 წ.).

შორაპნამდე. ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ.).

განცხადებანი

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში

ლორის-მელიქოვის ქუჩა, იქოალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა მ. გ. ბაჩანაძი.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი, მოთხრობა—შელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	50
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	55
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	10
ღვინის დაყენება, პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	25
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	20
ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან გ. ქვანგულოვისა	—	1

პირველი საწყობი

შეშისა

პ. ი. ქურცხალიასი

ანდრეევის ქუჩა, დამოენის პირდაპირ. საკუთარის ტყიდან მიღებულია დიდ-ძალი შეშა ყოველგვარ ღირსებისა, რცხილისა, წიფლისა, მუხისა, რთხმელისა და სხვა მუხის დიდი ბოძები. შეშის სახლში მიტანას ფირმა საკუთარ პავოზკებით კისრულობს. შეშა იყიდება საჟენობითაც და ფუთობითაც. მყიდველს ნება აქვს შეშის საჟენი თავის თვალ წინ დაადგმევინოს, რადგანაც მყიდველები ბევრჯელ სტყუვდებიან დადგმულ საჟენებიდან. მეორე განყოფილება იმყოფება ვერის ხიდის ყურთან.

(90—44) გამგე ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძე.

კავკასიის სააბრეშუმო სადგურის საწყობში (ტფილისი, მუშტაიდი) იყიდება

ცელულიარული გრენა

(აბრეშუმის თესლი)

თეთრი და ყვითელი ჯიშისა—მისხალი 40 კაპ.; ჭიის გამოკვების, თესლის დამზადების, აბრეშუმის ძაფის ამოხვევის და საფეიქროსათვის საჭირო მანქანები და იარაღი, მეაბრეშუმეობის სახელმძღვანელოები და კოლექციები.

ფუტკრის გაშენებისათვის საჭირო იარაღი და მანქანები: სკები, ხელოვნური ფიჭა, თაფლის საქაჩავი, სხვა-და-სხვა სისტემის სკების გეგმები, სახელმძღვანელოები და სხვა საჭირო საგნები. პრეისკურანტი უფასოდ (15—5.—13)

НЕСТЛЕ

Дѣтская молочная мука

Сгущенное молоко НЕСТЛЕ. (0—2)



СѢДЕЛЬН. СПЕЦІАЛЬН.

Безъ конкуренціи продаются всевозможн. сѣдла. მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიეს ახლოს. (წ—365—212)

ახლად დაბეჭდილი

სამზარეულო

ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობაში, ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართონ ქართველთა ამხ. კანტორას, ვანკის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (25—25)